ყარაბაღის მეორე ომი

ერთი წლის შემდეგ

ზაზა შენგელია

ყარაბაღის მეორე ომი

ერთი წლის შემდეგ

ზაზა შენგელია

ყარაბაღის მეორე ომი
ერთი წლის შემდეგ
ზაზა შენგელია

პუბლიკაცია გამოცემულია კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) მიერ დაფუძნებული ეკონომიკური დისკუსიების პლატფორმა – KAS EPRC ეკონომიკური არენა ფარგლებში.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2021.
ყველა უფლება დაცულია.

www.eprc.ge

ISBN: 9789941843082

სარჩევი

შესავალი

ნაწილი I – კონფლიქტი და რეგიონი

კონფლიქტის თავისებურებები

სომხეთი და აზერბაიჯანი – მზარდი ასიმეტრია

ყარაბაღის მეორე ომი და სტრატეგიული პარტნიორები

ნაწილი II – ყარაბაღის მეორე ომი და საქართველო

სომხეთ-აზერბაიჯანის მეორე ომი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები

ახალი სატრანსპორტო და ენერგეტიკული რეალიები

დემოკრატია

დასკვნა

კომენტარები

შესავალი

ძნელი საპოვნელია ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ მასზე დაწერილი სტატია, მოხსენება თუ წიგნი, რომელიც არ იწყება ამ ომის შედეგებით გამოწვეულ ცვლილებებზე საუბრით. ეს გასაგებიცაა, რადგან 44-დღიანი საომარი მოქმედებების შედეგად ამ კონფლიქტის უწინდელი სტატუს-კვოს რადიკალური შეცვლით ცვლილებები შეეხება იმ ვითარებასაც, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში ამ კონფლიქტის „გაყინული“ 27 წლიანი ფაზის განმავლობაში ჩამოყალიბდა.

გამარჯვებული აზერბაიჯანი ამტკიცებს, რომ ყარაბაღის მეორე ომის შედეგები რეგიონში მეტი სტაბილურობის, ეკონომიკური წინსვლისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების საწინდარია. ერევანი საპირისპირო პოზიციაზეა და აცხადებს, რომ 44-დღიანმა ომმა რეგიონის უსაფრთხოება დააზიანა და რეგიონის დესტაბილიზაცია გამოიწვია. დაპირისპირებულ მხარეთა უშუალო მეზობლები და მოკავშირეები, რუსეთი, თურქეთი და ირანი, კონფლიქტის მიმდინარეობისა და მისი შედეგების საკუთარი ინტერესების

შესაბამისად გამოყენებას სამხედრო მოქმედებების დაწყებისთანავე შეეცადნენ. თავისთავად, ომს უკვალოდ არ ჩაუვლია კონფლიქტის უშუალო სიახლოვეს მდებარე, საკუთარ ტერიტორიაზე ორი მსგავსი კონფლიქტის მქონე და რეგიონულ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში აქტიურად ჩართული საქართველოსთვის.

წინამდებარე პუბლიკაციაში შევეცდებით შევაფასოთ პოსტ-კონფლიქტური რეალობა და ის ცვლილებები, რომლებიც რეგიონში საომარი მოქმედებების დასრულებიდან ერთ წლის შემდეგ მოხდა. ამ მიზნის მისაღწევად ვისაუბრებთ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის თავისებურებებზე, მონაწილეებზე, რეგიონულ ძალებზე პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში და იმ გავლენაზე, რომელიც 2020 წლის სექტემბერში დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა საქართველოს უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტზე მოახდინა. გასაგები მიზეზების გამო ცალკე გამოვყოფთ საქართველოს საკითხს, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ.

ნაწილი I

კონფლიქტი და რეგიონი

კონფლიქტის თავისებურებები

ტერორიზმთან ბრძოლით და ომის „ჰიბრიდული“ მეთოდების გამოყენებით მდიდარ 21–ე საუკუნის პირველ ნახევარში სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული კონფლიქტების პირდაპირი სამხედრო კონფრონტაციით გადაწყვეტის პრეცედენტთა სიმცირემ, საომარი მოქმედებების სახეცვლამ, სახელმწიფოთა შორის სიმეტრიული და კონვენციური სამხედრო კონფლიქტების აქტუალობა მნიშვნელოვნად შეამცირა. საერთაშორისო ურთიერთობების, გეოპოლიტიკისა და სტრატეგიის მკვლევართა ყურადღების დიდი ნაწილი „ჰიბრიდული ომის“, მისი სხვადასხვა ფორმების და გამოვლინებების შესწავლისკენ გადაერთო. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 2020 წლის 27 სექტემბერს დაწყებულმა და 9–10 ნოემბრის შეთანხმებით შეჩერებულმა საომარმა მოქმედებებმა სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებთან დაკავშირებული თეორიებისადმი ინტერესი გარკვეულწილად განაახლა.

ამ შემთხვევაში ომმა კლასიკური, კლაუზევიცისეული მნიშვნელობა დაიბრუნა: აზერბაიჯანმა ომით

მიაღწია იმ პოლიტიკურ მიზნებს, რომელთა მოლაპარაკებებით ან „ჰიბრიდული მეთოდებით“ მიღწევის იმედი დაკარგული ჰქონდა.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1988 წელს გამწვავდა და უკვე სამ ათეულ წელს ითვლის, საბჭოთა კავშირის ყოფილ ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტებიდან ყველაზე ხანგრძლივი და ერთ-ერთი ყველაზე დიდი მსხვერპლის გამომწვევია. 1991–1994 წლებში 30000 დაღუპულს 2020 წლის 27 სექტემბრიდან 9 ნოემბრამდე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შედეგად 7000 დაღუპული დაემატა.[1]

პირველი ომისგან განსხვავებით, რომელმაც სამი წელი გასტანა და აზერბაიჯანის მარცხით დასრულდა, გასულ წელს დაწყებული საომარი მოქმედებები 44 დღეში, სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის მიერ სამმხრივი შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა. ხანგრძლივობის გარდა რადიკალურად განსხვავებული იყო შედეგიც – ამჯერად უპირობო გამარჯვება აზერბაიჯანმა მოიპოვა. მთიანი ყარაბაღის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის 1/3-ის გარდა, ბაქომ სომხეთის მიერ 2020 წლამდე ოკუპირებული 7 რაიონი გაათავისუფლა, სადაც კონფლიქტის დაწყებამდე ნახევარ მილიონზე მეტი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა.

1989 წელს 4400 კმ^2 ფართობის მქონე მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული მოსახლეობის ბოლო აღწერის თანახმად იქ 188000 ადამიანი ცხოვრობდა, მათგან 145500 სომეხი (76%), 42800 კი აზერ-

ბაიჯანელი (22.4%) იყო, დანარჩენ 2%-ს კი ქურთები, რუსები, ბერძნები და ასირიელები შეადგენდნენ.[2]

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაჩაღებულ კონფლიქტებს რიგი თვისებებით ჰგავს: იქნება ეს მისი გამწვავების დრო, ხანგრძლივობა, შეიარაღებულ დაპირისპირებაში დაქირავებული თუ მოხალისე დამხმარე ძალების მონაწილეობა თუ ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება. ზოგადად, პოსტ-საბჭოთა კონფლიქტებს შორის მსგავსებამ მკვლევართა შორის დაამკვიდრა აზრი, რომ ამ სივრცეში მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირებების საერთო მახასიათებლების მსგავსება ე.წ. „პოსტ-საბჭოთა ომების სცენარზე“[3] საუბრის შესაძლებლობას იძლეოდა. ამ სცენარში ომების გამომწვევი „კლასიკური“, ეკონომიკური თუ გეოგრაფიული, მიზეზების ნაცვლად საკვანძო ფაქტორები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი ძალაუფლების ვაკუუმი, ახლადშექმნილი რესპუბლიკების სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტე, საბჭოთა კავშირის მიერ ინსტიტუციონალიზებული ეთნიკური დემოგრაფია და შეუთავსებელი ნაციონალისტური პროგრამები იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთ „სცენარზე“ საუბრისას, როგორც წესი, ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს როგორიც რუსეთის სხვადასხვა სპეცსამსახურის მიერ ამ კონფლიქტების დაგეგმვაში, გამწვავებაში, გახანგრძლივებაში და რუსეთისთვის სასურველ მდგომარეობაში „გაყინვის“ უზრუნველყოფაში შესრულებული როლია.

თუმცა არის რამდენიმე თავისებურება, რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს სხვა პოსტ–საბჭოთა კონფლიქტებისგან გამოარჩევს. მათგან ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ალბათ კონფლიქტის ეთნიკური განზომილების აბსოლუტურ ხარისხში აყვანაა. 1988 წლიდან 1994 წლამდე მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად ეთნიკური წმენდას ადგილი ჰქონდა არა მარტო უშუალოდ მთიანი ყარაბაღის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სომხეთის მიერ მის გარშემო დაკავებულ შვიდ რეგიონში, არამედ აზერბაიჯანისა და სომხეთის დანარჩენ ტერიტორიებზეც. სომხეთი სრულად დატოვა ყველა აზერბაიჯანელმა, რამაც ეს ქვეყანა, ფაქტიურად, მონოეთნიკურ სახელმწიფოდ აქცია. ანალოგიურად, აზერბაიჯანის ტერიტორიის დატოვება მოუწია იქ მცხოვრებ სომეხთა ეთნიკურ უმცირესობას.

მეორე განმასხვავებელი ნიშანი ორ საერთაშორისოდ აღიარებულ, გაერო–სა და ეუთო–ს წევრ სახელმწიფოს შორის ღია დაპირისპირებაა. მიუხედავად იმისა, რომ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა ან „არცახი“, როგორც მას სომხური მხარე უწოდებს, თავად სომხეთსაც კი არ უღიარებია, სწორედ სომხეთი წარმოადგენს მათ საერთაშორისო მოლაპარაკებების მაგიდასთან. როგორც 1991–1994 წლების, ისე 2020 წლის 44 დღიანი საომარი მოქმედებებისას ერთმანეთს სომხეთისა და აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები დაუპირისპირდნენ. აღსანიშნავია, რომ სომხეთის მხრიდან კონფლიქტში მონაწილეობა დაუფარავად და ოფიციალურად ხდებოდა. ეს ასპექტები

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს სხვა პოსტ-საბჭოთა კონფლიქტებისგან კიდევ ერთი ნიშნით გამოარჩევს და მათთან შედარებით, მას ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტთან უფრო ახლოს აყენებს.[4] 2008 წლის 5 დღიანი ეპიზოდის გამოკლებით, რუსეთი ძალისხმევას არ იშურებდა რათა საკუთარი როლი მაქსიმალურად შეენიღბა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის პროცესში (რაც საბოლოო ჯამში, ვერ მოახერხა[5]). 2014 წელსაც კი, როცა მოსკოვმა ყირიმის ანექსია დაიწყო, ის ოფიციალურად უარყოფდა საკუთარი დანაყოფების მონაწილეობას და უკრაინული ქალაქების ქუჩებში გამოჩენილ შეიარაღებულ შენაერთებს „ადგილობრივ მოხალისეებს“ უწოდებდა.[6] ანალოგიური ვითარებაა აღმოსავლეთ უკრაინაშიც, სადაც რუსეთი, მიუხედავად უამრავი მტკიცებულებისა[7], ჯიუტად უარყოფს დონბასის სამხედრო ინტერვენციაში მონაწილეობას. განსხვავებულია მთიანი ყარაბაღის რეალობა, სადაც თვითგამორკვევის საფუძველზე დაწყებული კონფლიქტი ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის სრულმასშტაბიან ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ეს სტრუქტურული თავისებურება კავშირშია კიდევ ერთ ნიშანთან, რომელიც ამ კონფლიქტს პოსტ-საბჭოთა რეალობაში გამოარჩევს. ეს ამ კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობის ატიპიური ფორმაა. პოსტ-საბჭოთა სივრცის სხვა ცხელი წერტილებისგან განსხვავებით მოსკოვმა აქ გაწონასწორებული პოზიციის დაკავება სცადა და თავი აარიდა საკუთარი რესურსების მხოლოდ ერთი მონაწილის სასარგებ-

ლოდ გამოყენებას. სომხეთის წინაშე საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული სამხედრო და ეკონომიკური ვალდებულებების მიუხედავად, მოსკოვი ძალისხმევას არ იშურებდა და არ იშურებს აზერბაიჯანთან ორმხრივი ურთიერთობის მაღალ დონეზე შენარჩუნებისთვის.

რეგიონის სხვა კონფლიქტებისგან მთიან ყარაბაღს ისიც გამოარჩევს, რომ დაპირისპირების საწყისი ეტაპი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობისას, 1988 წელს, განვითარდა. ასეთი ქრონოლოგია ართულებს ამ კონფლიქტისადმი „პოსტ-საბჭოთა სცენარის“ თეორიის გამოყენებას, რომლის ძირითადი ელემენტები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქმედითი ძალაუფლების სტრუქტურების გაქრობა და უსაფრთხოების სისტემის მოშლაა.

თავისებური აღმოჩნდა დასავლეთის მიერ ნაკისრი როლიც. მოლაპარაკებების პროცესში (მინსკის ჯგუფი) დასავლეთის ისეთი წამყვანი ქვეყნების მონაწილეობისა, როგორიც შეერთებული შტატები, საფრანგეთი ან გერმანიაა (საფრანგეთი და აშშ ჯგუფის თანათავმჯდომარეებიც კი არიან)[8], და დასავლეთის წამყვანი ენერგო-გიგანტების აზერბაიჯანში განხორციელებული მრავალმილიონიანი ინვესტიციების მიუხედავად, ყარაბაღის მეორე ომში დასავლეთის როლი პოლიტიკურ განცხადებებს არ გასცდენია. ერთი მხრივ ალიევის მმართველობის ფორმამ და მისმა სიმყარემ, მეორე მხრივ კი სომხეთის რუსეთის ექსკლუზიური გავლენის სფეროში არსებობამ დასავლეთის მოქმედების არეალი უკიდურესად შეზღუდა.

დასავლეთის პასიურობის ფონზე კიდევ უფრო თვალ–შისაცემი გახდა კონფლიქტების მოგვარების საერ–თაშორისო ინსტრუმენტების არაეფექტურობა, რამაც კონფლიქტში ჩართულ მხარეებს მისი მოგვარების რეგიონალიზაციის საშუალება მისცა.

არის კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც მთიანი ყა–რაბაღის კონფლიქტს საქართველოს, უკრაინის, ან მოლდოვას ტერიტორიებზე სხვადასხვა ინტენსივო–ბით მიმდინარე კონფლიქტებისგან განასხვავებს: ეს ტერიტორიული დავის უშუალო ობიექტის წარმომად–გენლების ხელში ქვეყნის მართვის სადავეების ქო–ნაა. მართალია „არცახის“ სახელით საერთაშორისო მოლაპარაკებებში სომხეთი მონაწილეობდა, მაგრამ სომხეთს 1990–იანი წლების ბოლოს შემდეგ ე.წ. „ყა–რაბაღის კლანი“ ანუ ყარაბაღელი პოლიტიკოსები მართავდნენ. ფაშინიანის წინამორბედი სერჟ სარგი–სიანი და რობერტ კოჩარიანი არა მარტო ყარაბაღე–ლები, არამედ ყარაბაღის პირველი ომის აქტიური მონაწილეები და ვეტერანები იყვნენ. თავისთავად, სომხეთის პრეზიდენტისა და მთავარსარდლის თა–ნამდემდებობზე კონფლიქტში უშუალო მონაწილეთა ყოფნა შესაბამის დაღს ასვამდა სომხეთის როგორც შიდა პოლიტიკურ ცხოვრებას, ისე ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. რა თქმა უნდა, ეს აისახებოდა სომხე–თის მიერ მინსკის ჯგუფსა თუ სხვა ფორმატებში მო–ლაპარაკების მაგიდასთან დაკავებულ პოზიციებზე. არსებობს მოსაზრება, რომ დღეს სომხეთისთვის ასეთი მძიმე რეალობის დადგომის ერთ–ერთი მიზეზი ის ხისტი და უკომპრომისო პოზიცია იყო, რომელიც

სომხეთს მოლაპარაკებების მაგიდასთან ათწლეულების განმავლობაში ეჭირა. მიუხედავად ამ მტკიცების სიზუსტისა, ფაქტია, რომ სომხეთის გარდა არცერთ პოსტ–საბჭოთა სივრცის ქვეყანაში ქვეყნის სათავეში ასე სტაბილურად არ ყოფილან კონფლიქტური რეგიონის წარმომადგენლები.

თუ რეგიონის სხვა „გაყინული კონფლიქტების“ ანალიზის შემთხვევაში მკვლევართა ნაწილი მათ ხშირად დასავლეთისა და რუსეთს შორის არსებული გეოპოლიტიკური მეტოქეობის კონტექსტში განიხილავს, მთიანი ყარაბაღი მათგან ამ კუთხითაც გამოირჩევა. რა თქმა უნდა, გეოპოლიტიკურად ესოდენ მნიშვნელოვან რეგიონში ვითარების საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გადახრას ნებისმიერი ასეთი შესაძლებლობების მქონე რეგიონული თუ გლობალური მოთამაშე ცდილობს, თუმცა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ლოგიკა და კონტექსტი ყველაზე შორს დგას ამ ჩარჩოსგან პოსტ–საბჭოთა კონფლიქტებს შორის.

და ბოლოს, ზემოჩამოთვლილ ნიშნებს ყარაბაღის მეორე ომმა კიდევ ერთი დაუმატა, ეს „პოსტ–საბჭოთა“ კონფლიქტებში მესამე მხარის, ამ შემთხვევაში თურქეთის, აქტიური ჩართულობა იყო.

სომხეთი და აზერბაიჯანი – მზარდი ასიმეტრია

აზერბაიჯანისა და სომხეთის შედარებითი ანალიზისას იკვეთება განსხვავებები, რომლებიც ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ მნიშვნელვან უთანასწორობაზე მიუთითებენ. აზერბაიჯანი სომხეთს პრაქტიკულად ყველა ძირითადი პარამეტრით აღემატება: ტერიტორიის ფართობით, დემოგრაფიული მაჩვენებლებით, ეკონომიკური სიძლიერით, შეიარაღებული ძალების რაოდენობითა და მათი მრავალფეროვნებით, ასევე მათი ტექნიკური შესაძლებლობებით, რაც განსაკუთრებული სიძლიერით ყარაბაღის მეორე ომის მიმდინარეობისას გამოჩნდა.

პირველ რიგში აღსანიშნავია ამ ორი ქვეყნის დემოგრაფიული ასიმეტრია – თუ სომხეთში 2020 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით[9] 2 მილიონ 964 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 2021 წლის აღწერამ[10] აზერბაიჯანის მოსახლეობის რიცხვი 10 მილიონ 130 ათასს გაუტოლა. დემოგრაფიული უთანასწორობის შემდეგ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი განსხვავება მათ ეკონომიკურ მაჩვენებლებშია. სომხეთი საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული ეკონომი–

კური კოლაფსიდან შედარებით სწრაფად გამოვიდა და 2001–2007 წლებში, ერთ სულ მოსახლეზე მშპ–ს წლიური ზრდის ორნიშნა მაჩვენებელს ინარჩუნებდა. სომხეთის ეკონომიკური განვითარების გარდამტეხი წელი აღმოჩნდა 2008, როცა ერთმანეთს რუსეთ–საქართველოს ომი და რუსეთში დაწყებული ფინანსური კრიზისი დაემთხვა ერთმანეთს. 2008 წლიდან გასული 13 წლის განმავლობაში სომხეთის ეკონომიკა რუსეთ–საქართველოს ომამდელ ნიშნულს ვეღარასდროს მიაღწევს. სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარებისთვის გარდამტეხი 2005–2006 წლები იყო. ამ წლებში ამოქმედდა ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო–თბილისი–ერზრუმის გაზსადენი. 2005–2007 წლებში აზერბაიჯანის ეკონომიკამ ზრდის რეკორდულ მაჩვენებლებს, 26% (2005), 32% (2006) და 24% (2007), მიაღწია.[11] ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად შემცირდა სიღარიბის დონეც: თუ 2001 წელს სიღარიბის ზღვარს მიღმა აზერბაიჯანელთა 49% ცხოვრობდა, 2012 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 6% იყო. აზერბაიჯანის მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებამ 2020 წელს 42 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, როცა ამავე წელს სომხეთის მშპ 12 მილიარდ 675 მილიონი აშშ დოლარი იყო.[12] საბჭოთა დაშლის შემდეგ აზერბაიჯანის მშპ–მა მაქსიმალურ ნიშნულს, 75 მილიარდ აშშ დოლარს, 2014 წელს მიაღწია, მაშინ როცა სომხეთის საუკეთესო შედეგი 13 მილიარდი აშშ დოლარი იყო (2019).

რა თქმა უნდა, ასეთი მკვეთრი ეკონომიკური

უთანასწორობა მალევე აისახა ამ ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობებზეც. 2020 წელს ორივე ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი მშპ-ს დაახლოებით 5% იყო, თუმცა აქ სხვაობა აბსოლუტურ ციფრებში იკვეთება: თუ აზერბაიჯანის მიერ 2020 წელს თავდაცვისთვის 2.2 მილიარდი აშშ დოლარი გამოიყო, სომხეთის შემთხვევაში ეს 630 მილიონ აშშ დოლარი იყო.[13] შესაბამისად, უთანასწორო იყო შეიარაღების იმპორტიც, რომლის მოცულობაც აზერბაიჯანის შემთხვევაში 8.2-ჯერ აღემატებოდა სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს.[14] აღსანიშნავია, რომ 2011-2020 წლებში ორივე ქვეყნისთვის შეიარაღების მთავარი მიმწოდებელი რუსეთია. თუ სომხეთის შემთხვევაში რუსეთის მიერ მიწოდებული შეიარაღება ამ სახის იმპორტის 94%-ს აღწევს, აზერბაიჯანის შემთხვევაში მისი წილი 60%-თ შემოიფარგლება. 2011-2020 წლებში რუსეთის გარდა აზერბაიჯანმა მნიშვნელოვანი შესყიდვები აწარმოა ისრაელისგან (26.6%) და სომხეთის „ოდკბ"-ს კიდევ ერთი მოკავშირე ბელორუსისგან (7.1%). შეიარაღების მიმწოდებელთა შორის გაცილებით მცირე წილის მფლობელია თურქეთი (2.9%).[15]

მატერიალური პარამეტრების გარდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის უთანასწორობა 2020 წლის ყარაბაღის ომის დროს და საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ დიპლომატიურ ფრონტზე მიღწეული შედეგების კუთხითაც გამოიკვეთა. საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე გამომჟღავნდა ის მნიშვნელოვანი ძალისხმევა, რომელიც წლების გან-

მავლობაში აზერბაიჯანმა საერთაშორისო ასპარეზზე გასწია. პირველ რიგში, ეს ამ ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორების ქცევაში გამოიხატა. სომხეთისგან განსხვავებით, აზერბაიჯანს მისმა სტრატეგიულმა პარტნიორმა თურქეთმა უმნიშვნელოვანესი დახმარება გაუწია როგორც საომარი მოქმედებების დაწყებამდე, ისე უშუალოდ საბრძოლო ვითარებაში და პოსტ-კონფლიქტურ პერიოდშიც. თურქეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, 1992 წლიდან დაიწყო[16] და უკვე რამდენიმე ათწლეულს ითვლის. ეს თანამშრომლობა მოიცავდა მაღალი დონის შეხვედრებს, აზერბაიჯანელი ოფიცრების განათლებასა და წვრთნის პროგრამებს, ტექნიკურ დახმარებასა და სამხედრო მრეწველობის განვითარებაში ჩართულობას. ორი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს შორის დაახლოებამ მწვერვალს 2010 წელს მიაღწია, როცა აზერბაიჯანმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს „სტრატეგიული პარტნიორობისა და ორმხრივი მხარდაჭერის ხელშეკრულებას“.[17] ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აზერბაიჯანული შენაერთების თურქულ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობამ მუდმივი ხასიათი მიიღო, გახშირდა მაღალი დონის ვიზიტები ორ ქვეყანას შორის. განათლებისა და წვრთნის უწყვეტი პროცესის წყალობით თვისობრივად გაუმჯობესდა აზერბაიჯანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების უნარ-ჩვევები და კომპეტენცია. სამი ათწლეულის განმავლობაში ნატო-ს წევრი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებთან ასეთმა მჭიდრო კავშირმა აზერბაიჯანის

შეიარაღებული ძალებიდან საბჭოთა მემკვიდრეობა საბოლოოდ წაშალა და საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე სტანდარტებთან დააახლოვა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის მიერ აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების განვითარებაში შეტანილი წვლილი აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის მეორე ომში სამხედრო-პოლიტიკური წარმატების მიღწევის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო. თუ 1991–1994 წლების საომარ მოქმედებებში ერთმანეთს საბჭოთა არმიის მემკვიდრე ორი ჯარი უპირისპირდებოდა, 2020 წელს ერთმანეთის პირისპირ გასული საუკუნის საბჭოთა/რუსული ყაიდის ჯარი და დასავლეთის სტანდარტების მიხედვით ჩამოყალიბებული მოდერნიზებული შეიარაღებული ძალები აღმოჩნდნენ.

გარდა უშუალოდ სამხედრო მშენებლობაში მიღებული მონაწილეობისა, თურქეთი აქტიურად იყენებდა მის ნატო-ში წევრობას აზერბაიჯანის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოებისთვისაც და სხვა წევრ ქვეყნებს შორის აზერბაიჯანის ნატო-სთან უკეთეს ინტეგრაციას უჭერდა მხარს.

რუსეთის მიმართ წლების განმავლობაში გაკეთებული უმნიშვნელოვანესი დათმობების — კრიტიკული ინფრასტრუქტურის გადაცემის, სახელმწიფო საზღვრებზე კონტროლის რუსული სპეცსამსახურებისთვის ჩაბარების, საგარეო პოლიტიკის ვექტორის მოსკოვზე სწორების, სამხედრო ბაზების საკუთარ ტერიტორიაზე განუსაზღვრელი ვადით განთავსე-

ბის, „ევრაზიულ კავშირსა“ და ოდკბ-ში გაწევრიანების – მიუხედავად, გადამწყვეტ მომენტში მოსკოვმა სომხეთს ის დახმარება არ აღმოუჩინა, რომელიც ამ უკანასკნელს კატასტროფული სამხედრო მარცხისგან იხსნიდა. 2020 წლის ომის დაწყებამდე რუსეთის სამხედრო დახმარება სომხეთისთვის შეიარაღების საბაზროსთან შედარებით დაბალ ფასად მიწოდებით შემოიფარგლებოდა. მართალია სომხური შეიარაღებული ოდკბ-ს ფორმატში და რუსეთის მიერ გამართულ სხვა სამხედრო წვრთნებში რეგულარულ მონაწილეობას იღებდნენ, თუმცა მოსკოვის მიერ 1994–2020 წლებში გაწეული დახმარება ახლოსაც ვერ მიდის იმ ინსტიტუციონალურ თანამშრომლობასთან და გაღრმავებულ პარტნიორობასთან, რომელიც აზერბაიჯანს ამ წლებში თურქეთთან აკავშირებდა.

სომხეთი მოექცა გეოპოლიტიკურ ხაფანგში, რომელშიც მას არ შეეძლო თურქეთთან ან დასავლეთთან ურთიერთობების გამოსწორება, საგარეო პოლიტიკის ახალი შესაძლებლობების ძიება. ერთადერთი პირობა, რომელზეც სომხეთის უსაფრთხოება გახდა დამოკიდებული რუსეთის მხარდაჭერა იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთი ვითარების საფრთხეებს ერევანშიც ხვდებოდნენ. 2015 წელს, ჯერ კიდევ ოპოზიციონერი პოლიტიკოსის რანგში მოსკოვში ჩასული ნიკოლა ფაშინიანი განაცხადებს, რომ რუსეთ–სომხეთის ურთიერთობების სტრატეგიული ხასიათის აღიარებასთან ერთად საჭიროა იმის აღიარებაც, რომ ამ ურთიერთობაში პრობლემებიც არსებობს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ორ

ქვეყანას შორის ურთიერთობა „არა პარტნიორული, არამედ მოსაუბრისა და მსმენელის ურთიერთობაა.“[18] მსგავსი აზრის მქონე განცხადებებს ფაშინიანი მომდევნო წლებშიც არაერთხელ გაიმეორებს. ამ მოცემულობის გააზრების მიუხედავად და მისი შეცვლის სურვილის შემთხვევაშიც კი, ის მოკლე პერიოდი, რომელიც ნიკოლა ფაშინიანმა ყარაბაღის მეორე ომის დაწყებამდე ხელისუფლებაში დაჰყო საკმარისი ვერ იქნებოდა იმ გეოპოლიტიკური რეალობის შესაცვლელად, რომელიც სომხეთის გარშემო ათწლეულების განმავლობაში იქმნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ ფაშინიანმა ამ მიმართულებით პირველი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო და არაერთხელ მიანიშნა, რომ სომხეთი საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი წინადადებების მიმართ კეთილგანწყობილი იყო. 2021 წლის აგვისტოში მან საჯაროდ განაცხადა, რომ თურქეთთან დიალოგის დასაწყებად ყოველგვარი წინაპირობის გარეშე იყო მზად.[19] მის განცხადებას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ანკარიდანაც. მოკავშირეთა მხარდაჭერის კუთხით გაცილებით მომგებიან პოზიციით შეხვდა ყარაბაღის მეორე ომს აზერბაიჯანი.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით ნაკლებად გაუგებრად ჩანს ის, თუ რატომ დაკარგა აზერბაიჯანმა ინტერესი ათწლეულების განმავლობაში უშედეგოდ მიმდინარე მოლაპარაკებების მიმართ და ტერიტორიული მთლიანობის სამხედრო გზით აღდგენაზე არ თქვა უარი.

მატერიალური კრიტერიუმების გამო არსებული უთანასწორობის, განვითარების მზარდი ასიმეტრიის და რეგიონის პოლიტიკური დინამიკის გათვალისწინებით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან კონფლიქტისადმი სათანადო ყურადღების გამოჩენის შემთხვევაში შეუმჩნეველი არ დარჩებოდა კონფლიქტის განვითარების ტრაექტორია, გაჩნდებოდა საომარი მოქმედებების პრევენციის უკეთესი წინაპირობები. რუსეთის მიერ კონფლიქტის სადავეების დე-ფაქტო და დე-იურე ხელში ჩაგდებამ გამორიცხა კონფლიქტის მიმდინარეობაზე დასავლეთის მხრიდან ინტენსიური დაკვირვება, რამაც წარმოშვა ის სტრატეგიული მოულოდნელობა, რომლის წინაშეც დასავლეთის ქვეყნები 2020 წლის 27 სექტემბერს აღმოჩნდნენ. ამ შემთხვევაშიც იკვეთება ის რისკი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში „გავლენის სფეროების“ აღიარებას შეიძლება მოჰყვეს.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და სტრატეგიული პარტნიორები

თურქეთი

დღეს თურქეთი აზერბაიჯანის ყველაზე ახლო მოკავშირეა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა, განაცხადა, რომ მსოფლიოში არ არსებობდა ორი ქვეყანა, რომლებსაც აზერბაიჯანზე და თურქეთზე ახლო ურთიერთობა ექნებოდათ.[20] ასეთ მიდგომას ილჰამ ალიევის მმართველობაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. მის მამას და აზერბაიჯანის უცვლელ ლიდერს, ჰეიდარ ალიევს, ეკუთვნის გამოთქმა, რომლითაც ყველაზე ხშირად ახასიათებენ თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობას: „ერთი ერი, ორი ქვეყანა“.[21] აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ასეთი სიახლოვე საერთო ეთნიკური, ლინგვისტური და კულტურული იდენტობის გარდა ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ფაქტორებითაცაა განპირობებული. აზერბაიჯანი ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი გაზის მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორია. გარდა იმისა, რომ თურქეთი ბუნებრივი აირის მსოფლიოს უმსხვილეს მომხმარებელთა შორისაა[22] (მეშვიდე ადგილი მსოფლიოში, 47.7 მილიარდი კუ-

ბური მეტრის მოხმარებით 2020-ში), ის ევროპის ენერგომომარაგების ქსელის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. აზერბაიჯანისა და თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ორი ქვეყნის დამაკავშირებელი ნავთობსადენებისა და გაზსადენების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთი ქვეყანა, რომელიც ამ კავშირებში მისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით უცვლელადაა ჩართული, საქართველოა.

ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთსასარგებლო კავშირების მეტად განვითარების დადებითი დინამიკაა მოსალოდნელი მომავალშიც. ამას განაპირობებს როგორც თურქეთში მუდმივად მზარდი ენერგომოხმარება და ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეების განვითარება, ისე ევროკავშირის მიერ წევრი ქვეყნების სტაბილური ენერგომომარაგების მისაღწევად დივერსიფიკაციის სტრატეგიის დანერგვის გადაწყვეტილება. ევროპული ბაზრის უკეთესად მომარაგებისთვის დაგეგმილ გაზსადენთა დიდი ნაწილი თურქეთის ტერიტორიიდან აიღებს სათავეს, მათ შორის ტრანსადრიატიკის მილსადენი (Trans Adriatic Pipeline), რომლის მშენებლობა 2020 წლის ბოლოს დასრულდა.

2020 წლამდე თურქეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონში დიდწილად მისი „რბილი ძალის“ (ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, დიპლომატიური გავლენის) ეფექტური გამოყენებით გამოირჩეოდა. 2010-იანი წლების დასაწყისიდან ანკარამ მისი „ხისტი ძალის“ და სამხედრო შესაძლებლობების ეფექტუ-

რობაც გამოაჩინა. 21–ე საუკუნის მეორე დეკადამდე თურქეთის მიერ მის საზღვრებს გარეთ ჩატარებული უკანასკნელი სამხედრო ოპერაცია 1974 წლით თარიღდება, როცა თურქეთის არმიამ კვიპორსზე სამხედრო ინტერვენცია განახორციელა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თურქეთი ჯერ სირიის (2016), შემდეგ კი ლიბიის (2019) ტერიტორიაზე მიმდინარე საომარ მოქმედებებში ჩაერთო. 2020 წელს ამ კონფლიქტებს ყარაბაღის მეორე ომიც დაემატა, რომლის დროსაც თურქეთის ჩართულობამ უდიდესი როლი შეასრულა აზერბაიჯანის გამარჯვებაში. შესაბამისად გაიზარდა მისი გავლენაც სამხრეთ კავკასიაში. ექსპერტთა ნაწილი „ნეო–ოტომანიზმსა“ და პანთურქიზმის დავიწყებულ თემებს მიუბრუნდა. რამდენად გამართლებულია ამ ფენომენებზე საუბარი ჩვენი განხივლის თემის მიღმაა, თუმცა აღსანიშნავია, რომ თურქეთის ბოლოდროინდელი სამხედრო ინტერვენციები განსხვავებულ გამოწვევებს პასუხობდა: ეს იყო ქურთული საკითხი, ხმელთაშუა ზღვაში გავლენის დასამყარებლად მიმდინარე პროცესები და ა.შ. აზერბაიჯანის მხარდაჭერა და დახმარება ანკარას საშუალებას აძლევს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა კავკასიის მიმართულებით გაავრცელოს. კასპიისა და შავი ზღვის დამაკავშირებელ ამ რეგიონს თურქეთისთვის ხმელთაშუა ზღვაზე და ახლო აღმოსავლეთზე ნაკლები მნიშვნელობა არ აქვს. თურქეთის აქტიურობის კიდევ ერთი მიზეზი ამ გეოგრაფიულად მცირე რეგიონში მისი ისტორიული მეტოქეების, რუსეთისა და ირანის ჩართულობაა. ამგვარად, „პანთურქიზმზე“

საუბრის გარეშეც, სახეზეა თურქეთის მიერ რეგიონში პოზიციების გამყარების თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე თურქეთის ინტერესების გატარებასთან ერთად, მძლავრი შიდაპოლიტიკური განზომილებაც ახლავს თან. ეკონომიკური სიძნელეების ფონზე, ერდოღანისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსერვატორული და ნაციონალისტური განწყობებით გამორჩეული ამომრჩევლის მიზიდვა. ეს დინამიკა განსაკუთრებით საინტერესო ელფერს იძენს 2023 წლის პერსპექტივის ფონზე, როცა თურქეთის რესპუბლიკის ასი წლის აღნიშვნასთან ერთად თურქეთში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები გაიმართება.

აზერბაიჯანთან სიახლოვის გარდა თურქეთს კონფლიქტში მედიაციის კიდევ ერთი ბერკეტი აქვს, რომელსაც მას „მინსკის ჯგუფის“ წევრობა ანიჭებს.

შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტში შესრულებულ უმნიშვნელოვანეს როლთან შედარებით მოკრძალებული აღმოჩნდა თურქეთის მონაწილეობა კონფლიქტის შეჩერების და პოსტ-კონფლიქტური შეთანხმებების საქმეში. 9-10 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის სამმხრივი შეთანხმების გარდა, თურქეთი ვერ მოხვდა სატრანსპორტო და ეკონომიკური კავშირების აღდგენაზე მიმდინარე მოლაპარაკებების ფორმატშიც. შუამავლისა და მედიატორის როლი ამ შემთხვევაში მთლიანად რუსეთმა იკისრა.

ამის ნაცვლად თურქეთმა აქტიურობა გამოიჩინა როგორც რეგიონული თანამშრომლობის მრავალმხრიანი ფორმატების მხარდაჭერის კუთხით,

ისე სტრატეგიულ მოკავშირესთან ურთიერთობების გაღრმავებისკენ სწრაფვით. პირველი თურქეთისთვის ნაცნობი ინიციატივის, რეგიონული თანამშრომლობის ე.წ. 3+3 ფორმატის მხარდაჭერასა და ლობირებაში გამოიხატა[23], მეორე კი აზერბაიჯანთან „შუშას დეკლარაციის“ ხელმოწერაში.[24] როგორც მოსალოდნელი იყო, „შუშას დეკლარაცია“ აზერბაიჯანისა და თურქეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების სულისკვეთების გამომხატველი აღმოჩნდა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დეკლარაციას „ისტორიული“ უწოდა და ორი ძირითადი მიმართულება გამოჰყო: პირველი თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო–სამრეწველო და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაა, მეორე კი ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო კომუნიკაციების გაუმჯობესებაა. სატრანსპორტო კავშირებში ალიევმა ცალკე ისაუბრა „ზანგეზურის კორიდორის“ მნიშვნელობაზე, რომელიც გარდა ეკონომიკური მნიშვნელობისა, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის პირდაპირი კავშირის დამყარების სიმბოლურ დატვირთვასაც ატარებს. ზანგეზურის საკითხის 9–10 ნოემბრის შეთანხმებაში ხსენების გათვალისწინებით, „შუშას დეკლარაციის“ ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი ორ მოკავშირეს შორის სამხედრო მრეწველობის ერთობლივი განვითარების და განსაკუთრებით კი მესამე ქვეყნის აგრესიის შემთხვევაში ურთიერთდახმარების პირობაა.[25] „შუშას დეკლარაციას“ დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია, თუმცა ძნელია არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ

აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიის პირველი ქვეყანაა, რომელმაც მისი უსაფრთხოება ასე მჭიდროდ დაა–კავშირა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ ქვე–ყანასთან. „შუშას დეკლარაციაში“ გაწერილი სამ–ხედრო აგრესიის შემთხვევა მოკავშირის მხრიდან ავტომატურ სამხედრო დახმარებას არ გულისხმობს, დეკლარაციაში საუბარია „ერთობლივ კონსულტა–ციაზე“, რომლის შემდეგ მხარეები იტოვებენ უფლე–ბას საერთო ძალებით უპასუხონ რომელიმე მათგა–ნის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის ან დამოუკიდებლობისთვის წარმოშობილ საფრთხეს.[26] ძნელი მოსაძებნია საბჭოთა კავშირის დაშლის შემ–დეგ ნატო–ს წევრ ქვეყანასთან ხელმოწერილი რო–მელიმე ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების მუხლი, რომელიც მესამე ქვეყნის უსაფრთხოებას ალიანსის წევრ ქვეყანას თუნდაც ასეთ დონეზე დაუკავშირებ–და. პარადოქსია, მაგრამ საქართველოს ნაცვლად, რომლის ევრო–ატლანტიკური ინტეგრაციისკენ მის–წრაფება კონსტიტუციაში ჩანაწერის სახით არსე–ბობს, ნატო–ს წევრ ქვეყნებთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ყველაზე მყარი, ხელმოწერით დაფიქსირებული გარანტია დღესდღეობით აზერბაი–ჯანს აქვს: ქვეყანას, რომელსაც ნატო–ში გაწევრია–ნების სურვილი ცალსახად არასდროს დაუფიქსირე–ბია. მეტიც, იყო პერიოდი, როცა ოფიციალური ბაქო არ უარყოფდა აზერბაიჯანის მიერ „ოდკბ“–ში გაწევ–რიანების შესაძლებლობის განხილვასაც.[27] აზერბაი–ჯანის მიერ ორმხრივ ურთიერთობაში მიღწეული ეს წარმატება შესაძლოა სასარგებლო მაგალითი იყოს

ალიანსთან დაახლოების მოსურნე საქართველოსთვისაც.

დასავლეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დაძაბვის ფონზე კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა სამხრეთ კავკასიაში მათ ინტერესებს შორის თანხვედრა. დასავლეთი (ევროკავშირი, აშშ) მიესალმება თურქეთის ინიციატივებს, რომელთა მიზანი აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანსპორტო თუ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებას ემსახურება, იქნება ეს გაზსადენები, ნავთობსადენები, რკინიგზა თუ სხვა სატრანსპორტო არტერიები.[28] აზერბაიჯანულ და შუა აზიურ ენერგომატარებლებზე წვდომის გაუმჯობესება ორივე ძალისთვის სასარგებლო და მომგებიანია.

თურქეთი არა თუ არ ეწინააღმდეგება საქართველოს დასავლეთთან დაახლოებსა და მის ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას, არამედ ამ საკითხებში ის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერია.[29] ანკარაში მიიჩნევენ, რომ დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრირებული, ძლიერი საქართველო თურქეთის ენერგოუსაფრთხოების თვისობრივი გაუმჯობესების საწინდარი იქნება. ამავე დროს, თურქეთის რეგიონული და უსაფრთხოების პოლიტიკის კიდევ ერთი ტრადიციული პრიორიტეტი შავ ზღვაში რუსეთის გავლენის შემცირებაა.[30] ამ ამოცანის მნიშვნელობა განსაკუთრებით 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრის და 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ გაიზარდა.[31]

სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში

თურქეთი ერთი–ერთი ყველაზე აქტიური დიპლო–მატიით გამოირჩევა. ანკარა აქტიურობს როგორც რეგიონული თანამშრომლობის მრავალმხრივ ფორ–მატებში, ისე რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივ ურ–თიერთობებშიც. ყარაბაღის მეორე ომის შედეგებით ზურგგამაგრებული ანკარა ასეთ პოლიტიკას დიდი ალბათობით კიდევ უფრო განავითარებს. 2021 წლის ნოემბრის ბოლოს პრემიერ–მინისტრმა ერდოღან–მა განაცხადა, რომ თურქეთს სურვილი ჰქონდა და მზად იყო შუამავლის როლი შეესრულებინა რუსეთსა და უკრაინას შორის რეგიონში მშვიდობის მისაღწე–ვად.[32]

შუამავლობის სურვილის მიღმა, ანკარა უკრაი–ნასთან ორმხირივ ურთიერთობებსაც დინამიურ რე–ჟიმში ინარჩუნებს. ანკარა არასდროს ერიდება მკა–ფიო პოზიციის დაფიქსირებას რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიის საკითხზე, ყირიმელ თათართა დევნაზე და უკრაინის ევრო–ატლანტიკურ მომა–ვალზე. თავისთავად, რუსეთთან უთანასწორო ომში ჩართული უკრაინისთვის განსაკუთრებული მნიშ–ვნელობა აქვს თურქეთთან სამხედრო–სამრეწველო თანამშრომლობას. ამ სფეროში ორმხრივი თანამ–შრომლობის საკითხს ენთუზიაზმით ხვდება ანკარაც, რომელიც მზად არის უკრაინას მისი უახლესი ტექნო–ლოგიები გაუზიაროს.[33]

აღსანიშნავია, რომ ყარაბაღის ომის მიმდინა–რეობისას და საომარი მოქმედების დასრულების შემდეგაც თურქეთმა ღიად გამოხატა მზადყოფნა სამ–ხედრო–ტექნიკური დახმარება საქართველოსთვისაც

გაეწია.[34]

ექსპორტზე ორიენტირებული[35] და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მქონე თურქეთი ეკონომიკური ექსპანსიის რეჟიმშია არა მხოლოდ უშუალო სამეზობლოსა და შავი ზღვის რეგიონში, არამედ ევროპაში და შუა აზიაშიც.[36] თურქეთსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობები ეყრდნობა 1963 წელს ხელმოწერილ ასოცირების ხელშეკრულებას და 1995 წელს ამოქმედებულ ევროკავშირი — თურქეთის საბაჟო კავშირის ხელშეკრულებას. თურქეთმა სათანადოდ გამოიყენა მის უშუალო სიახლოვეს ისეთი დიდი და სტაბილური ბაზრის არსებობა, როგორიც ევროკავშირია და ეს შესაძლებლობა მისი ეკონომიკურ ექსპანსიის ქვაკუთხედად გამოიყენა. ამგვარად: ევროკავშირი თურქეთის მთავარი სავაჭრო (ექსპორტსა და იმპორტშიც) პარტნიორია. 2020 წელს თურქეთის იმპორტის 33.4% ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელდა, თავის მხრივ, ევროკავშირისკენ იყო მიმართული თურქეთის ექსპორტის 41.3%. ევროკავშირთან ვაჭრობის მოცულობით, რომლის წილიც 2020 წელში 3.6% იყო, თურქეთი ევროკავშირის ექვს უდიდეს სავაჭრო პარტნიორთა შორის იყო.[37] 2020 წელს თურქეთსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის მოცულობამ 132 მილიარდ ევროს მიაღწია.[38] სავაჭრო ურთიერთობის გარდა, ევროკავშირი თურქეთში ყველაზე მსხვილი ინვესტორიცაა.

აზერბაიჯანთან ურთიერთობების ახალ სიმაღლეზე აყვანის და თანამშრომლობის რეგიონალურ ფორმატებში აქტიურობის პარალელურად, თურქეთმა

მოუხშირა ერევანთან პირდაპირ კონტაქტზე გასვლის მცდელობებს. ყარაბაღში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ბაქო თურქეთის მხრიდან სომხეთისადმი გამოხატულ კეთილგანწყობას ნაკლებად აგრესიულად ხვდებოდა. თავის მხრივ, ანკარასთან ურთიერთობების აღდგენის სურვილი გამოთქვა სომხეთის პრეზიდენტმაც.[39] მხარეებს შორის განცხადებებს მოჰყვა პრეზიდენტ ბაიდენის პრემიერ-მინისტრ ერდოღანისადმი 2021 წლის ოქტომბერში გაზიარებული იმედი, რომ თურქეთი სომხეთთან ურთიერთობას აღადგენდა.[40] რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, 2021 წლის 13 დეკემბერს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთი და სომხეთი მზად იყვნენ ურთიერთობათა ნორმალიზებისთვის, რისთვისაც საგანგებო წარმომადგენლებს დანიშნავენ და ურთიერთობის სრულად აღდგენისთვის სხვა საჭირო ნაბიჯებს განიხილავენ. მინისტრის თქმით ასევე აღდგება ჩარტერული ფრენები ერევანსა და სტამბოლს შორის. ჩავუშოღლუმ აღნიშნა, რომ სომხეთთან დიალოგის ყველა დეტალი აზერბაიჯანთან იქნებოდა შეთანხმებული.[41] რა თქმა უნდა, ჯერ ადრეა ამ პროცესის შედეგებზე საუბარი, თუმცა დღეს უკვე ცხადია, რომ ბოლოდროინდელი წარმატებებით ზურგგამაგრებული თურქეთი უარს ამბობს ნულოვანი ჯამის თამაშის წესებზე და რეგიონის უსაფრთხოების კონფიგურაციის ძირეული ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ერთადერთი მხარე, რომელსაც დამარცხებული სომხეთის იზოლაციაში დარჩენა აწყობს რუსეთია.

განცდილი მარცხის და ამ მარცხში რუსეთის მიერ შესრულებული როლის შემდეგ ფაშინიანის მთავრობაში ვეღარ ხედავენ რუსეთზე მიბმული, იზოლაციის გაგრძელების აზრს. სტრატეგიული პარტნიორის პასიურობის ფონზე, ყარაბაღის მეორე ომის დასრულების შემდეგ სომხეთი იძულებულია თავად მოიპოვოს ის მინიმალური სარგებელი, რომელსაც მას გამარჯვებული მხარე პოსტ-კონფლიქტური სტაბილიზაციის სანაცვლოდ სთავაზობს. ყარაბაღის კონფლიქტის გამო სომხეთი რეგიონში განვითარებული ყველა საერთაშორისო პროექტის მიღმა დარჩა. ერევანში კარგად ესმით, რომ 44 დღიანი საომარი მოქმედებების შედეგად დაწესებულ სტატუს-კვოს შეცვლა განჭვრეტად მომავალში შეუძლებელია. კონფლიქტის თუნდაც მისთვის არასახარბიელო შედეგით გადაწყვეტამ ერევანს წარსულში არსებული შეზღუდვები მოუხსნა. აზერბაიჯანი ერევანსა და ანკარას შორის დიალოგის წინააღმდეგი აღარ იქნება. დასუსტებულ სომხეთს ახალ შესაძლებლობებზე უარის თქმის ფუფუნება აღარ აქვს.

რუსეთი

ყარაბაღის მეორე ომის დასრულებისთანავე მომრავლდა ანალიტიკოსთა რიცხვი, რომლებმაც სამმხრივი შეთანხმების ხელმოწერა და კონფლიქტის ზონაში რუს სამშვიდობოთა გამოჩენა მოსკოვის კიდევ ერთ წარმატებად მონათლეს. მართლაც, 9–10 ნოემბრის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, რუსეთმა მოიპოვა რეგიონში სამშვიდობო ძალების

ახალი კონტინგენტის განთავსების შესაძლებლობა, თავი დაიმკვიდრა როგორც მთიანი ყარაბაღის კონ–ფლიქტის ერთადერთმა მედიატორმა და სომხეთის კონტროლის ქვეშ დარჩენილი ტერიტორიების დე–ფაქტო მმართველმა.

რუსეთის „გამარჯვების“ თეზისის გასამყარებ–ლად განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს არგუმენტი მოსკოვის მიერ შეიარაღებული ძალების სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ. ამ ფაქტობრივად სწორი მტკი–ცების დაზუსტებისთვის საჭიროა იმ განსხვავებების დასახელებაც, რომლებიც აზერბაიჯანის ტერიტო–რიაზე გამოჩენილ რუს სამშვიდობო ძალებს, საქარ–თველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და სომხეთში მოქმედ სამხედრო ბაზებზე განთავსებული ძალების–გან გამოარჩევს.

პირველ რიგში ეს მათი იქ ყოფნის დროში გაწე–რილი ხანგრძლივობაა. რუსი სამშვიდობოების მან–დატი 5 წლიანია. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მათი იქ ყოფნა შესაძლებელია გაგრძელდეს, თუმცა 9–10 ნოემბრის შეთანხმება ითვალისწინებს ქმე–დით მექანიზმს, სამი ხელმომწერიდან ნებისმიერს ვეტოს, რომლის ამოქმედების შემთხვევაში სამ–შვიდობოების მანდატის გაგრძელება შეუძლებელი იქნება. რა თქმა უნდა, ისტორიული გამოცდილება მიუთითებს, რომ რუსეთს არასდროს გასჭირვებია ხელმოწერილი შეთანხმებების დარღვევა, თუმცა ამ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია სტრატეგიუ–ლად მეორეხარისხოვან თეატრზე განლაგებული

2000[42] კაციანი კონტინგენტის გამო აზერბაიჯანთან (და შესაბამისად თურქეთთან) ღია კონფრონტაციაზე წასვლა.

მეორე ასპექტი, რომელიც ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების გამოჩენაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, ის თავისებურებებია, რომლებიც რუსეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთობებს სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ორ ქვეყანასთან ურთიერთობებისგან განასხვავებს. სომხეთისგან და საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანი არ არის რუსეთზე დამოკიდებული არც ეკონომიკურად, არც ენერგოუსაფრთხოების კუთხით, ხოლო თურქეთთან სტრატეგიული პარტნიორობა მისი უსაფრთხოების დამატებითი გარანტიაა.

სამშვიდობოების ძირითადი ფუნქცია ლაჩინის 8 კილომეტრიანი კორიდორის 27 გასწვრივ დაწესებული საკონტროლო-გამშვები პუნქტებზე მორიგეობაა. დაპირისპირების ხაზზე მათი გასვლა მხარეთა მოთხოვნით ან პასუხისმგებლობის ზონაზე საჰაერო დაკვირვების შედეგად გამოვლენილი აუცილებლობის შემთხვევაში ხდება. აღსანიშნავია, რომ არეალის უპილოტო საფრენი აპარატებით საჰაერო მონიტორინგი თურქეთისა და რუსეთის ერთობლივი მართვის ცენტრიდან ხორციელდება. გამოდის, რომ რუსეთის სამშვიდობო მისია აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორის პერმანენტული ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს. ეს რუსი სამშვიდობო მისიის კიდევ ერთი განმასხვავებელი ასპექტია.

აქვე უნდა აღინიშნოს სომხეთისა და საქართვე-

ლოს შეიარაღებულ ძალებთან შედარებით აზერბაი-ჯანის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაცილებით მაღალი დონე. ნატო-ს წევრი ქვეყნის უპირობო მხარდაჭერით ზურგგამაგრებული აზერ-ბაიჯანის თანამედროვე არმიის წინააღმდეგ სამ-ხედრო უპირატესობის მოპოვებისთვის მოსკოვს რეგიონში დისლოცირებული ძალები არ ეყოფა და ამისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზება მოუწევს.

აზერბაიჯანი ყურადღებით ადევნებს თვალს რუ-სეთის სამშვიდობო ძალების მიერ მათი მოვალეო-ბის მანდატით განსაზღვრულ ჩარჩოებში შესრულე-ბას და ამ ჩარჩოების დაცვის საჯაროდ ხაზგასმას არც უმაღლესი დონის შეხვედრებზე ერიდება. 2021 წლის 26 ნოემბერს ვლადიმერ პუტინთან შეხვედრი-სას ილჰამ ალიევმა მედიის თანდასწრებით განაცხა-და, რომ რუსი სამშვიდობოების პასუხისმგებლობის ზონა შეზღუდული იყო 9–10 ნოემბრის შეთანხმებით განსაზღვრული მანდატით და სომხეთ–აზერბაიჯა-ნის საზღვარზე განახლებული შეტაკებები მათ არ ეხებოდა.[43] როგორც ჩანს, ბაქოში კარგად ესმით ის რისკები, რომლებიც რუსული ძალებისთვის მათი ამოცანების ინტერპრეტაციის საშუალების დატოვე-ბას სდევს თან. უნდა აღინიშნოს, რომ 9–10 ნოემბრის შეთანხმებაში სამშვიდობო ძალების შესახებ ჩანაწე-რი რამდენიმე წინადადებისგან შედგება და არასწო-რი ინტერპრეტაციის საშუალებას ზრდის. სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე და ზოგადად რეგიონში დაძაბულობის გაგრძელების შემთხვევაში ასეთი ინ-

ტერპრეტაციის რისკიც მოიმატებს.

როგორც ჩანს, ყარაბაღის კონფლიქტში ჩართულობის გაზრდით მათ წინაშე არსებული რისკები კარგად ესმით მოსკოვშიც. რუსეთი რამდენჯერმე შეეცადა ბაქო და ერევანი პოსტ-კონფლიქტური პერიოდისთვის დამახასიათებელ ინციდენტებზე რეაგირების წესებსა და მექანიზმებზე მოლაპარაკების დაწყებაზე დაეთანხმებინა, თუმცა ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა.[44] რუსეთის მიერ რეგიონში ახალი კონტინგენტის განთავსებით მიღებულ სარგებელზე საუბრისას აუცილებელია იმ რისკებიც მითითებაც, რომლებიც ამგვარ ნაბიჯებს მოჰყვება.

რუსული პროპაგანდის მიერ გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, კონფლიქტის დაწყებისა და მიმდინარეობის ყველა ფაქტობრივი გარემოება მიუთითებს, რომ მოსკოვი 2020 წლის 27 სექტემბერს მოულოდნელობის წინაშე აღმოჩნდა ან ვერ მოახერხა სათანადო მომზადება ასეთი მასშტაბის კონფლიქტის დაწყებისთვის.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი ყარაბაღის საკითხში 1990-იანი წლების დასაწყისიდანვე ჩაერთო და 1994 წელსაც მედიატორის როლს ასრულებდა. ამ შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის სხვა კონფლიქტებისგან განსხვავებით, მოსკოვის პოზიცია მართლაც უფრო ახლოს იყო შუამავლის ფუნქციასთან. მიუხედავად ამისა, რუსეთმა ვერაფერი იღონა 2020 წლის 27 სექტემბერს დაწყებული საომარი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად და უახლოესი მოკავშირის დასაცავად: 1994 წელს დამყარე-

ბული სტატუს–ქვო მასშტაბური ომითა და ვითარების რადიკალური ცვლილებებით დასრულდა. ფაქტია, რომ რუსეთის ასეთი პოლიტიკა, სხვა კონფლიქტებში პირდაპირი ჩართულობის მსგავსად, მშვიდობის მომტანი ვერ აღმოჩნდა. შუამავლის მისია მარცხით დასრულდა, როგორც რუსეთისთვის, ასევე მასზე დამოკიდებული მოკავშირისთვის. ძნელია ასეთ შედეგს რუსეთის წარმატება ეწოდოს. ამავე დროს, რუსეთს მოუწია რეგიონში ისეთი ძლიერი და აქტიური მოთამაშის გამოჩენასთან შეგუებაც, როგორიც თურქეთია. მოსკოვი იძულებული გახდა დაევიწყებინა ფაშინიანის მთავრობის მიმართ ურთიერთობის საწყის ეტაპზე გამოვლენილი უარყოფითი დამოკიდებულება და შეგუებოდა პუტინთან ახლო ურთიერთობის მქონე სომეხი ლიდერებისა და ოლიგარქების დევნას სომხეთის ახალი მთავრობის მხრიდან. საბოლოო ჯამში, ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ რუსეთისთვის გაიზარდა იმ კომპრომისების რიცხვი, რომლებზეც მას რეგიონში მოუწევს წასვლა. ერთადერთი რაც ახლა მოსკოვს შეუძლია დროის მოგებაა, სანამ რეგიონში არსებული ძალთა ბალანსი კვლავ არ მისცემს მას საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას.

ყარაბაღის მეორე ომმა აჩვენა, რომ რუსეთთან დაახლოება და საგარეო პოლიტიკის ვექტორის მოსკოვზე გასწორება არ იცავს მის მოკავშირეებს კატასტროფული შედეგებისგან. „ევრაზიულ კავშირში“ შესვლით, ენერგეტიკული და სატრანსპორტო სექტორის დიდი ნაწილის რუსეთისთვის გადაცემით სომხეთის ეკონომიკური განვითარება დაჩქარების

ნაცვლად შენელდა.[45] მეორე ყარაბაღის ომს სომხეთი აზერბაიჯანზე გაცილებით მწირი ბიუჯეტითა და მცირე ეკონომიკით შეხვდა, რაც მისი სამხედრო თვალსაზრისით მოუმზადებლობის ერთ-ერთი მიზეზიც იყო. სომხეთი ვერც რუსეთთან სტრატეგიულმა და სამხედრო მოკავშირეობამ დაიცვა. სომხეთს, როგორც „ოდკბ"-ს წევრ სახელმწიფოს საფუძვლიანი იმედი ჰქონდა, რომ სამხედრო მარცხის თავიდან აცილების უკიდურესი გამოსავალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რუსეთის სამხედრო დახმარება იქნებოდა. სომხეთის ეს იმედიც ამაო აღმოჩნდა. სხვა მრავალი შემთხვევისგან განსხვავებით, როცა რუსეთი, საკუთარ ინტერესებზე დაყრდნობით, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმების საკმაოდ თავისუფალი ინტერპრეტაციის უფლებას აძლევდა თავს, ამჯერად პუტინი სომხეთთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების ტექსტთან უკიდურესად ახლოს მდგომი პოზიციით წარსდგა და რუსეთის საომარ მოქმედებებში ჩარევა გამორიცხა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული პირობის, სომხეთის ტერიტორიაზე პირდაპირი თავდასხმის, არარსებობის გამო.[46] რუსეთის ამ პოზიციის სიმყიფე კიდევ უფრო მკაფიო გახდა 2021 წლის შემოდგომაზე განახლებული შეტაკებების ფონზე, რომლებიც ამჯერად უშუალოდ სომხეთისა და აზერბაიჯანის საერთაშორისო საზღვარზე ხდებოდა და 9–10 ნოემბრის შეთანხმების დადების შემდეგ ყველაზე დიდი მსხვერპლი მოჰყვა ორივე მხრიდან. 2021 წლის 16 ნოემბერს სომხეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდო-

მარემ, არმენ გრიგორიანმა, განაცხადა, რომ სომხეთი აპირებდა რუსეთისთვის სამხედრო დახმარების მოთხოვნით მიემართა.[47] მოთხოვნას საფუძვლად ორ ქვეყანას შორის 1997 წლის 29 აგვისტოს დადებული „მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შეთანხმება“ ედებოდა, რომელიც აუცილებელ დახმარებას ითვალისწინებდა ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო აგრესიის შემთხვევაში. გრიგორიანმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთისგან დახმარების არმიღების შემთხვევაში სომხეთი „სხვა შესაძლებლობების“ ძიებას დაიწყებდა. მოსკოვის პასუხი ამჯერადაც თავშეკავებული იყო და სამხედრო დახმარების გაწევის აუცილებლობა დიპლომატიური მედიაციით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტით მოახერხა.[48] აღსანიშნავია, რომ რუსეთს სომხეთისთვის უსაფრთხოების გარანტიები მიცემული აქვს როგორც ორმხრივ ფორმატში (1997 წლის ხელშეკრულებით), ისე მრავალმხრივ, „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“, ფორმატში.

ნათელია, რომ რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისადმი თავის არიდების პრეცედენტი ნიშანდობლივი იქნება რუსეთის მიერ შექმნილი ეკონომიკური თუ სამხედრო ბლოკების სხვა წევრებისთვისაც.

რუსეთი ვერ მისცემს აზერბაიჯანთან ურთიერთობების გაფუჭების საშუალებას თავს არა მარტო ფართო ეკონომიკური და სტრატეგიული მიზეზების გამო არამედ 9–10 ნოემბრის შეთანხმებაში გათვალისწინებული ვეტოს კონკრეტული მექანიზმის გამოც – სამ-

შვიდობოების მანდატის ამოწურვამდე 6 თვით ადრე შეთანხმების ნებისმიერ ხელმომწერს მათი მანდატის გაგრძელებაზე ვეტოს დადების უფლება აქვს. ეს პირობა მოსკოვისთვის ისეთი დამატებითი შეზღუდვაა, რომელსაც ის გვერდს ვერ აუვლის. ამ ვითარებაში მოსალოდნელია მოსკოვის მხრიდან მისთვის კონფლიქტის რეგიონებში ფეხის მოკიდების ჩვეული მექანიზმების გამოყენება. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მსგავსად, რუსი სამშვიდობოების პასუხისმგებლობის ზონაში დარჩენილი მოსახლეობის მასობრივი პასპორტიზაცია მათ არარსებული „არცახის“ მოქალაქეების ნაცვლად რუსეთის მოქალაქეებად აქცევს, რაც აფხაზეთისა და ცხინვალის მსგავსად რუსეთს პროვოკაციების მოწყობისა და სპეცოპერაციების ჩატარების რესურსს გაუზრდის. ამავე დროს, ასეთ მცირე რეგიონში რუსული პასპორტების დარიგება ბაქოს ყურადღებასაც მიიპყრობს და შესაბამისი დასკვნების გამოტანისკენ უბიძგებს. სომხეთისა და ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების დისლოცირების ზონის დამაკავშირებელი ერთადერთი გზა აზერბაიჯანული ძალების კონტროლის ქვეშაა.

რუსეთი შეეცდება შეძლებისდაგვარად დაამუხრუჭოს ან გააწონასწოროს აზერბაიჯანისა და თურქეთის საბოლოო დაახლოება. თუმცა ძნელი წარმოსადგენია ამ მხრივ მოსკოვს ბაქოსთვის საპირწონე ან თუნდაც ალტერნატიული შეთავაზების გაკეთება შეეძლოს. თურქეთი აზერბაიჯანის ენერგეტიკული რესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელი და ევროპაში მიმავალი ბაქოსთვის უმნიშვნელოვანესი

ექსპორტის გამრიგეა. გარდა ამისა, თურქული სამხედრო მრეწველობის სწრაფი განვითარების გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში აღარ იარსებებს შეიარაღება, რომლის მიწოდებასაც თურქეთი აზერბაიჯანისთვის ვერ უზრუნველყოფს. შეიარაღების ცალკეულ სახეობებში, ეს განსაკუთრებით იმ სახეობებს ეხება, რომელთა წარმოება თანამედროვე ტექნოლოგიებს მოითხოვს, მოსკოვს უკვე აღარ შეუძლია აზერბაიჯანს ისრაელისა და თურქეთის პროდუქციის ალტერნატივა შესთავაზოს. აზერბაიჯანი რუსეთის მეზობელი სახელმწიფოებიდან ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც მასზე ნულოვანი ენერგოდამოკიდებულებით გამოირჩევა. მეტიც, სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი აზერბაიჯანი მსოფლიოს ყველაზე თვითკმარ ქვეყნებს შორისაა და სრულად ფარავს საკუთარი წარმოების ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მისი შიდა ბაზრის მოთხოვნებს. ამგვარად, 2020 წელს აზერბაიჯანმა 25.8 ტერავატ საათი ელექტროენერგია აწარმოა, მოხმარებამ კი 19 ტერავატ საათი შეადგინა.[49] კიდევ უფრო დიდი სხვაობაა ბუნებრივი აირის მოპოვებასა და მოხმარებას შორის: იმავე 2020 წელს აზერბაიჯანმა 26.4 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მოიპოვა, როცა წლიური მოხმარება მხოლოდ 5.5 მილიარდი კუბური მეტრით შემოიფარგლა.[50] ქვეყნის ენერგორესურსების გათვალისწინებით ეს მოცემულობა განჭვრეტად მომავალში არ შეიცვლება.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ მის ტერიტორიაზე

დაშვებით აზერბაიჯანმა ღია კარი დაუტოვა საკუთარ ტერიტორიაზე თურქული ძალების განთავსების შესაძლებლობასაც. სავარაუდოდ, ბაქო არ იჩქარებს ამ მნიშვნელოვანი ბერკეტის გამოყენებას და ამ ნაბიჯს რეგიონში ძალთა ბალანსის მისთვის არასასურველად ცვლილების შემთხვევაში გადადგამს. ასეთ მომენტად ბაქომ მოსკოვის მხრიდან აზერბაიჯანის მიმართ გადადგმული ნებისმიერი მტრულად აღქმული ნაბიჯი შეიძლება განიხილოს.

ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ მოსკოვს მის კავკასიურ სტრატეგიაში თურქეთის აქტიური მოქმედების გათვალისწინება მოუწევს. ნატო–ს წევრმა სახელმწიფომ და ამბიციურმა რეგიონალურმა მოთამაშემ განსაკუთრებული როლი შეასრულა აზერბაიჯანის მიერ გამარჯვების მოპოვებაში, რითაც გარკვეული უპირატესობა მოიპოვა ინერტული მოსკოვის ფონზე. რუსეთისგან განსხვავებით თურქეთი არ იყო იძულებული კონფლიქტის მხარეთა მიმართ თანაბარი და გაწონასწორებული მიდგომა გამოეჩინა. მისი მხარდაჭერა ცალმხრივი, უპირობო და ერთმნიშვნელოვანი იყო. ანკარას თანმიმდევრულმა რეგიონულმა პოლიტიკამ შედეგს მიაღწია, სტრატეგიული ინიციატივა თურქეთის ხელში აღმოჩნდა. რუსეთი მის მოსაზღვრე რეგიონში თურქეთის სამხედრო და პოლიტიკური გავლენის ზრდას საფრთხედ აღიქვამს, თუმცა რეგიონში მოქმედების რესურსი შეზღუდული აქვს. შესაბამისი შესაძლებლობის შემთხვევაში მოსკოვი თურქეთზე ზეწოლას ორ ქვეყანას შორის პირდაპირი თუ ირიბი კონფრონტაციის სხვა თეატრზე

შეეცდება.

რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობა ტრადიციული ფორმა თანამშრომლობისა და მეტოქეობის ნაზავია. თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკის წყალობით, თურქეთმა ბოლო ათწლეულებში საკუთარი გავლენის გაზრდა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკასთან ერთად იმ სივრცეშიც მოახერხა, რომელზეც ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის მმართველობა ვრცელდებოდა და თურქეთისთვის საუკუნეების განმავლობაში მიუწვდომელი იყო. აღსანიშნავია, რომ აქ მოიაზრება როგორც თურქულენოვანი სამყარო (შუა აზიის ქვეყნები, აზერბაიჯანი), ასევე უკრაინა (ყირიმში მცხოვრები თურქულენოვანი უმცირესობით), სამხრეთი და ჩრდილოეთი კავკასია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თურქეთის განვითარებული და ექსპორტზე ორიენტირებული სამხედრო მრეწველობა, რომელიც ანკარამ ეკონომიკური აქტივის გარდა საგარეო პოლიტიკის დამატებით ბერკეტად გარდაქმნა. ყარაბაღის მეორე ომის დასრულების შემდეგ ექსპერტთა განხილვის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი თემა აზერბაიჯანის გამარჯვებაში თურქეთის მიერ მიწოდებული შეიარაღების მნიშვნელობა იყო. აზერბაიჯანის სამხედრო წარმატება თურქეთმა მის ეკონომიკურ წარმატებადაც აქცია. თურქული კომპანია „ბაირახტარის“ მიერ წარმოებული დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატის, TB2-ის შეძენისადმი ინტერესი რამდენიმე ქვეყანამ გამოხატა. ორ ათეულზე მეტი TB2 შეიძინა პოლონეთმა, ინ-

ტერესი გამოხატა რუსეთთან მოსაზღვრე ნატო–ს კი–დევ ერთმა წევრმა ლატვიამ.[51] თურქეთმა გააღრმავა სამხედრო–ტექნიკური თანამშრომლობა უკრაინას–თან, რომელმაც 12 ერთეული სახელგანთქმული TB2–ის შეძენის შემდეგ კიდევ 24 ერთეულის შეძენის სურვილი გამოთქვა.[52] თავისთავად, ამ მოვლენებმა რუსეთის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რომელიც კიდევ უფრო გაამძაფრა უკრაინის მიერ თურქული საფრენი აპარატის დონბასში საბრძოლო გამოყენე–ბამ.[53]

თურქეთის ყარაბაღის კონფლიქტში ჩარევა და უკრაინასთან ურთიერთობის გაღრმავება რუსეთის მიერ მისი ექსკლუზიური გავლენის სფეროში მისი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად ფასდება. მიუხედავად ამისა, თურქეთი და რუსეთი ტრადიციას არ ღალატობენ და ურთიერთობების პარტნიორულ ფორმას ინარჩუნებენ. აზერბაიჯანიდან გაზრდილი იმპორტის მიუხედავად[54], რუსეთი თურქეთის ბუნებ–რივი აირის უმსხვილესი მიმწოდებელია.[55] პერიოდუ–ლად ცხადდება რუსეთისა და თურქეთის ერთობლივი პროექტები სამხედრო–სამრეწველო სფეროშიც.[56] მისი გავლენის ზრდის პარალელურად ანკარას აწ–ყობს მოსკოვთან პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება, თურქეთთან პირდაპირი კონფრონ–ტაციის სურვილი არც მოსკოვში შეინიშნება. შესა–ბამისად, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია გავლენებისთვის ბრძოლის პარალელურად, ამ ორ ქვეყანას შორის ორმხრივ ურთიერთობაში თანამ–შრომლობის შენარჩუნება. ამავე დროს აღსანიშნა–

ვია, რომ რუსეთი ვერ გარისკავს თურქეთისთვის მის „ახლო სამეზობლოში“ დათმობებზე წასვლას, ეს მის მიერ გავლენის ექსკლუზიურ სფეროზე უარის თქმის ტოლფასი იქნება. უკრაინის შემთხვევა აჩვენებს, რომ თურქეთთან კონფრონტაციის ნაცვლად რუსეთი თურქული შეიარაღების მომხმარებლებზე ზეწოლას არჩევს. ამ დრომდე თურქეთი წარმატებით ლავირებდა მოსკოვთან პარტნიორობასა და მეტოქეობას შორის, თუმცა ინტერესთა გახშირებული დაპირისპირების ფონზე, ძნელი სათქმელია, თუ რამდენ ხანს გასტანს რეგიონში გავლენის მოპოვების მოსურნე ორ ძალას შორის ურთიერთობების კონსტრუქციული ფორმა.

ყარაბაღის უსაფრთხოება ახლა ერევნის ნაცვლად მოსკოვზეა დამოკიდებული. არ დააყოვნა შეცვლილი რეალობის სიმბოლური გამოხატვის ფორმებმაც, „არცახის“ თვითგამოცხადებულმა პარლამენტმა რუსულ ენას “რესპუბლიკის“ ოფიციალური ენის სტატუსი მიანიჭა.[57] სახელმწიფო ენის ცვლილება ყარაბაღში, პასპორტიზაცია და რუსული ექსპანსიის სხვა მსგავსი ფორმები საქართველოსთვის ნაცნობი და მტკივნეული გამოცდილებაა, თუმცა გაურკვეველია, თუ რისთვის გამოიყენებს რუსეთი ამ ზომებით შეცვლილ რეალობას იმ პირობებში, როცა აზერბაიჯანის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის კონტროლი დროებით ხასიათს ატარებს და მის მიერ პერმანენტული ფორმის შეძენა ნაკლებად სავარაუდოა.

ერთი–ერთი შესაძლებლობა რუსეთის მიერ „არ–

ცახის“ აზერბაიჯანის კონტროლს მიღმა დარჩენილი ტერიტორიებისგან ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მსგავსი ფსევდო–დამოუკიდებელი წარმონაქმნების ჩამოყალიბებაა, თუმცა ასეთი ინიციატივის განხორციელებაც მოსკოვისთვის მაღალი რისკის შემცველია და პოტენციურ სარგებელს ბევრად აღემატება.

ყარაბაღში მიმდინარე პროცესების პარალელურად, რუსეთი აგრძელებს სომხეთის სუვერენიტეტის შეზღუდვის პროცესს. პუტინის მცდელობა, სომხეთ––თურქეთის და სომხეთ–ირანის საზღვრების გაკონტროლების გარდა რუსული ნაწილები აზერბაიჯანთან საზღვარზეც განელაგებინა წარუმატებელი გამოდგა. პრეზიდენტმა ალიევმა აზერბაიჯანის მხრიდან ასეთი წინადადების განხილვაც კი გამორიცხა.

9–10 ნოემბრის შეთანხმების თანახმად, უშუალოდ საზღვრების გარდა, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის კონტროლქვეშ მოექცევა ნახიჭევანის ექსკლავისა და აზერბაიჯანის ძირითადი ნაწილის დამაკავშირებელი დერეფანიც.

ნათელია, რომ რუსეთი არ აპირებს თავი შეიზღუდოს რეგიონში საკუთარი გავლენის გაძლიერებისგან და ამ მიზნის მისაღწევად არც ისეთი ლოიალური მოკავშირის სახელმწიფოებრიობის ფატალურად დასუსტებას ერიდება, როგორიც სომხეთია.

ყარაბაღის მეორე ომმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ რუსეთი მისი მეზობელი ქვეყნებისადმი მეცხრამეტე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკისთვის დამახასიათებელი მტაცებლური მიდგომით მოქმედებს

და მოკავშირის ხელშეკრულებებით ნაკისრი დახმარების ნაცვლად საკუთარი პოზიციების გამყარებას ამჯობინებს.

სომხეთის მიერ განცდილი მარცხი და მისი ზოგადი სტრატეგიული მდგომარეობა გაკვეთილი უნდა იყოს იმ ძალებისთვის, რომლებიც საქართველოს გეოპოლიტიკური პრობლემების გასაღებს ჩრდილოეთში ეძებენ. ერთადერთი, რასაც რუსეთთან ეკონომიკური ან სტრატეგიული ურთიერთობის გაღრმავება იწვევს ქვეყნის სტრატეგიულ ჩიხში შესვლაა. მოსკოვი არ არის დაინტერესებული მისი მოკავშირეების გაძლიერებით, ერთადერთი მიზანი აბსოლუტური კონტროლის დამყარება და სუვერენიტეტის საბოლოოდ წაშლაა.

ნაწილი II

ყარაბაღის მეორე ომი და საქართველო

სომხეთ-აზერბაიჯანის მეორე ომი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები

სამწუხაროდ, სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარებაზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მკვლევართა დიდი ნაწილის მიდგომა სამხრეთ კავკასიაში „გაყინულ“ კონფლიქტთა მიმართ იდენტურია: ისინი კრიმინალური გზებით, მათ შორის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებით, დამკვიდრებული სტატუს-კვოს „ნორმალიზაციას“ და „ლეგალიზაციას“ ემხრობიან. მათ მიერ წამოჭრილი დიალოგისა და შერიგების ინიციატივები ნაკლებად ითვალისწინებს ეთნიკური წმენდის და სხვა უკანონო ქმედებების მსხვერპლთა ინტერესების დაცვას (საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას, უკანონოდ ჩამორთმეული ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენას და ა.შ.) და როგორც წესი, მიზნად ისახავს მოცემულ მომენტში მომგებიან პოზიციაზე მყოფი მხარის ანუ საქართველოს შემთხვევაში

ოკუპირებულ ტერიტორიებზე და იქ დარჩენილ მოსახლეობაზე კონტროლის მქონე რეჟიმების პოზიციისადმი 90-იან წლებში მომხდარი კონფლიქტებში „დამარცხებული“ მხარის მიმღებლობის გაზრდას.

ანალოგიური მიდგომით გამოირჩეოდნენ ეს ორგანიზაციები და ექსპერტები ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაშიც. ათწლეულების განმავლობაში მათ მიერ წამოჭრილი ინიციატივები არ ითვალისწინებდა აზერბაიჯანული მხარის მიერ გამოთქმულ ლეგიტიმურ პრეტენზიებს, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესრულებისკენ გაკეთებულ მოწოდებებს. წლების განმავლობაში, „მინსკის ჯგუფისა“ და საერთაშორისო თანამეგობრობისგან კონფლიქტის მოგვარებაში გამოჩენილი პასიურობის და მოწინააღმდეგე სომხეთის უკომპრომისო პოზიციის გამო ბაქოს მისი ისტორიული პრობლემის გადაჭრის საკუთარი გზით ძიება მოუწია. აზერბაიჯანის მიერ არჩეულ სტრატეგიაში ორი, სამხედრო და დიპლომატიური, განზომილების, გამოყოფა შეიძლება.

1994 წელს განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ ბაქოსთვის ცხადი იყო, რომ მისთვის მიუღებელი სტატუს-კვოს შეცვლისთვის აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტური განმტკიცება და ამ პროცესის დასაწყებად საჭირო ცვლილებების გატარება იყო საჭირო. პოსტ-საბჭოთა ჩამორჩენილი ქვეყნის ნაცვლად აზერბაიჯანი თანამედროვე, ეკონომიკურად განვითარებულ და ძლიერ სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო. რა თქმა უნდა, ერთ-ერთ პრიორიტეტად აზერბაიჯანის შეიარაღე-

ბული ძალების მშენებლობა დაისახა. დამოუკიდებელი აზერბაიჯანის უახლესი ისტორიის გადახედვისას ცხადი ხდება, თუ რა თანმიმდევრული იყო 1990–იანი წლების დასაწყისის შემდეგ დაწყებული სახელმწიფო მშენებლობის პროცესი.

სამხედრო განვითარება წარმოუდგენელი იქნებოდა ეკონომიკური განვითარების გარეშე. 2005–2006 წლებში გაშვებული ინფრასტრუქტურული პროექტების წყალობით აზერბაიჯანის ეკონომიკა რამდენიმე წლის განმავლობაში რეკორდულ ზრდას განიცდიდა. ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად გაჩნდა საკმარისი ფინანსურის შესაძლებლობა აზერბაიჯანის არმიის სამხედრო რეფორმისა და გადაიარაღების ჩასატარებლად.

აზერბაიჯანმა მოახერხა დასავლეთისთვის და რუსეთისთვის კომფორტული პარტნიორი ყოფილიყო, გამხდარიყო უმნიშვნელოვანესი რგოლი ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებაში და რა თქმა უნდა, ესარგებლა თურქეთის უპირობო მხარდაჭერით.

ტერიტორიის ერთი მეოთხედის სამი ათეული წლის განმავლობაში ოკუპაციის გათვალისწინებით საქართველოს აზერბაიჯანის გრძელვადიანი სტრატეგიის განსაკუთრებით ყურადღებით შესწავლა მართებს. აზერბაიჯანის მაგალითი ცხადყოფს, რომ საერთაშორისო სამართლით გამყარებული პოზიციის გათვალისწინებით, ხელსაყრელი მომენტის დადგომის შემთხვევაში ათწლეულების განმავლობაში "გაყინული" კონფლიქტის გადაწყვეტა შესაძლებელია.

ამ მხრივ კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ 2021 წლის 21 იანვარსა და 21 ოქტომბერს მიღებული საქართველოსთვის ისტორიული გადაწყვეტილებები. პირველი გადაწყვეტილების[58] თანახმად, სტრასბურგის სასამართლომ პრაქტიკულად აღიარა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია რუსეთის ფედერაციის მიერ (2008 წლის 12 აგვისტოს შემდეგ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში „რუსეთის მტკიცედ დაფუძნებამ და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელმძღვანელთა რუსეთის ფედერაციაზე დამოკიდებულებამ წარმოაჩინა, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე „ეფექტიან კონტროლს“ რუსეთი ახორციელებდა) და საქართველოს მოქალაქეების ადამიანთა უფლებების უმძიმეს დარღვევებზე (სიცოცხლის უფლება, წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, საკუთრების დაცვის უფლებას) პასუხისმგებლობაც მას დააკისრა. ოკუპაციის დადგენით სტრასბურგის სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა არა მარტო ამ ტერიტორიების “დამოუკიდებლობის“ აღიარება რუსეთის და მისი რამდენიმე სატელიტის მიერ, არამედ სამართლებრივი საფუძველი გამოაცალა ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების ნებისმიერ პერსპექტივას. გარდა ამისა, ამ გადაწყვეტილებამ გზა გაუხსნა რუსეთის მიერ უფლებაშელახულ საქართველოს ათასობით მოქალაქეს სამართლებრივი გზით მოსთხოვს მას პასუხი.

21 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილებით[59] ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ „დაუშვებლად“ სცნო საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი ორი კოლექტიური სარჩელი, რომელიც 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომის დროს ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევებს ეხებოდა, რითაც პრაქტიკულად უარყო რუსული პროპაგანდის ერთ–ერთი ძირითადი არგუმენტი საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი სისასტიკისა და სამხედრო დანაშაულების ჩადენის შესახებ, რომლითაც მოსკოვი 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიას ამართლებდა.

ახალი სატრანსპორტო და ენერგეტიკული რეალიები?

ყარაბაღის მეორე ომის შედეგებით გამოწვეულ ცვლილებებს შორის საქართველოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს რეგიონში არსებული სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის და სატრანზიტო დერეფნების ალტერნატივების შესაძლო გამოჩენა. 9–10 ნოემბერს დადებულ სამმხრივ შეთანხმებაში და 2021 წლის იანვარში მოსკოვში ხელმოწერილ დოკუმენტში, სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი სამხრეთ კავკასიაში არსებული ყველა სატრანსპორტო დერეფნისა და კომუნიკაციის ამოქმედებისთვის მზაობას გამოთქვამენ. თავისთავად, ეს საკმაოდ ამბიციური განცხადებაა, თუმცა ასეთი ზოგადი ფორმულირების მქონე საფუძველზე შორს მიმამავალი დასკვნების ან პროგნოზების გაკეთება რთული იქნება. ჩანაწერის ზოგადი ხასიათი მოწმობს იმ განსხვავებებსაც, რომლებიც აღნიშნულ საკითხზე მხარეთა შეხედულებებს შორის არსებობს.

ნახიჭევანის ექსკლავის აზერბაიჯანის დანარჩენ ტერიტორიასთან დაკავშირების კონკრეტული ჩანაწერის გარდა, 9–10 ნოემბრის შეთანხმების მეც-

ხრე მუხლი ზოგადი და ბუნდოვანი ფორმულირებით გამოირჩევა: „რეგიონის ყველა ეკონომიკური და სატრანსპორტო დერეფანი უნდა გაიხსნას.“ ამ ფორმულირების ინტერპრეტაცია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ამა თუ იმ ხარისხით ჩართულ მხარეთა პრიორიტეტებზეა დამოკიდებული: აზერბაიჯანის პრიორიტეტი ნახიჭევანთან და თურქეთთან პირდაპირ დაკავშირებაა, თურქეთისთვის კასპიის ზღვის აუზისა და შუა აზიის ენერგეტიკულ მარაგებთან უკეთესი წვდომა, ირანისთვის სამხრეთ კავკასიის სარკინიგზო ქსელზე დაერთება, სომხეთისთვის რუსეთთან უფრო სტაბილური და საიმედო სატრანსპორტო კავშირი, რუსეთისთვის კი სომხეთსა და ირანთან სატრანსპორტო დერეფნების გაუმჯობესებაა. საქართველოსთვის განსაკუთრებით საყურადღებო მოსკოვიდან წამოსული ინიციატივები იქნება, რადგან დიდია ალბათობა რუსეთმა ახალი რეალობა სატრანსპორტო პროექტებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ჩართვისთვის გამოიყენოს, რაც მას რეგიონში პოზიციების გამყარების უმნიშვნელოვანეს პერსპექტივას გაუხსნის. თავისთავად, საქართველოს მხრიდან ასეთი ინიციატივების განხილვაში მონაწილეობაც კი ოკუპირებული ტერიტორიების “დამოუკიდებლობის“ აღიარების ტოლფასი იქნება. ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისადმი რუსეთის ამჟამინდელი მიდგომა პრაქტიკულად გამორიცხავს კრემლის მხრიდან ისეთ კომპრომისებზე წასვლას, რომლებიც საქართველოსთვის საკმარის საფუძველს შექმნიდა ამ ტერიტორიებზე გამავალი

სატრანსპორტო მაგისტრალების ამოქმედებაზე დათანხმებისთვის.

2021 წლის ივნისში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ფაშინიანის პარტია „სამოქალაქო კონტრაქტმა“ დამაჯერებლად გაიმარჯვა. მიუხედავად ფაშინიანის მთავრობის მიერ რამდენიმე თვის ადრე განცდილი კატასტროფული სამხედრო მარცხისა, 1990-იანი წლების ბოლოდან 2018 წლამდე ხელისუფლებაში მყოფმა „ყარაბაღის კლანის“ პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ვერ შეძლო „სამოქალაქო კონტრაქტის“ დამარცხება და ამომრჩეველთა ხმების 21%-ს დასჯერდა.[60] ძლიერი დემოკრატიული მანდატის მქონე ფაშინიანმა საკვანძო თანამდებობებზე მისი გუნდის წევრების დანიშვნა და ერევანში „ომის პარტიის“ გავლენის შესუსტება მოახერხა.

ხელმოწერის შემდგომი თვეების განმავლობაში ერევანი ამა თუ იმ მიზეზით აფერხებდა ნახიჭევანთან დამაკავშირებელი „ზანგეზურის კორიდორის“ პროექტზე საგნობრივი საუბრის დაწყებას, მაგრამ, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ფაშინიანის მთავრობის მიერ შიდა პოლიტიკური პოზიციების გამყარებასთან ერთად დერეფნის გახსნისადმი შიდა წინააღმდეგობამაც იკლო, თუმცა ამ საკითხზე ალიევისა და ფაშინიანის პოზიციები კვლავაც შეუთავსებელია. ალიევი მიიჩნევს, რომ „ზანგეზურის კორიდორში“, ლაჩინის დერეფნის მსგავსად, გადაადგილება თავისუფალი, შეუზღუდავი და საბაჟო-გამშვები პუნქტებისგან თავისუფალი უნდა იყოს. განსხვავებული მიდგომა აქვს ფაშინიანს, რომლისთვისაც ლაჩინისა

და ზანგეზურის დერეფნებს სხვადასხვა სტატუსი უნდა ჰქონდეს.

აზერბაიჯანისა და თურქეთისთვის „ზანგეზურის კორიდორის“ გახსნა პოსტ-კონფლიქტური რეალობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. აზერბაიჯანისა და თურქეთის ლიდერებმა 2021 წლის 26 ოქტომბერს საზეიმო ცერემონიის ფონზე პირადად ჩაუყარეს საფუძველი ჰორადიზ-ჯებრაილ-ზანგილან-აღბენდის გზის მონაკვეთს, რომელიც „ზანგეზურის კორიდორის“ ნაწილია.[61]

აღსანიშნავია რეგიონული თანამშრომლობის ისტორიული გამოცდილებაც, რომელიც დიდწილად უარყოფითია. საბჭოთა კავშირის ძალადობრივად თავსმოხვეული სისტემის გამოკლებით სამხრეთ კავკასიას არ ახსოვს რეგიონის წიაღიდან აღმოცენებული თანამშრომლობის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელმაც ნაწილობრივ წარმატებას მაინც მიაღწია. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, რომელშიც, მიუხედავად ცვლილებებისა, კონფლიქტის ძირეული მიზეზები კვლავაც მოუგვარებელია და კონსესუსი მიუღწეველია, ძნელი საპოვნელია საფუძველი სამ ქვეყანას შორის გაღრმავებული და ჰარმონიული თანამშრომლობისთვის.

ენერგეტიკა

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში არსებული ენერგო-ინფრასტრუქტურის ობიექტებს შორის ორი საერთაშორისო მნიშვნელობის ნავთობსადენის გამოყოფა შეიძლება. ისინი კასპიის ზღვაში მდება-

რე აზერბაიჯანის საკუთრებაში არსებულ საბადოებს საქართველოს პორტ სუფსასთან და თურქულ პორტ ჯეიჰანთან აკავშირებენ: შედარებით მცირე მოცულობისაა ბაქო–სუფსის 833 კილომეტრიანი ნავთობსადენი, რომელიც დღეში 150 ათასი ბარელი ნავთობის გატარების შესაძლებლობას იძლევა. ბაქო–სუფსის ნავთობსადენის ყველაზე მსხვილი აქციონერი ბრიტანული კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმია“. სხვა აქციონერებს შორის არიან აზერბაიჯანული ნავთობის საერთაშორისო კომპანია, ამერიკული „შევრონი“ და „ექსონმობილი“, ნორვეგიული „სტატოილი“, იაპონური „ინპექსი“ და „იტოჩუ“, თურქული „თურქიშ პეტროლიუმი“ და ინდური ნავთობისა და გაზის კორპორაცია.

უფრო დიდი მასშტაბით გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის მეორე ნავთობსადენი ბაქო–თბილისი–ჯეიჰანი (BTC), რომლის სიგრძე 1768 კილომეტრია (აქედან 249 კილომეტრი საქართველოს ტერიტორიაზე) და მსოფლიოს ერთ–ერთი ყველაზე გრძელი მილსადენია.[62] მას ყოველდღიურად მილიონი ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია, თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, მისი მაქსიმალური სიმძლავრე დღეში 800 000 ბარელი იყო. სრულ ექსპლუატაციაში 2006 წელს გაშვებული მილსადენის მეშვეობით კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილში მდებარე აზერი–ჩირაგ–გუნეშლის საბადოდან მოპოვებული ნავთობი თურქეთში, ისრაელში და ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარე სხვა ნავთობგადამამუშავებელ სადგურებს

მიეწოდება. 2008 წლის შემდეგ აზერბაიჯანული ნავთობისა და კონდენსატის გარდა მილსადენით გადაიცემა თურქმენეთიდან და ყაზახეთიდან მიწოდებული ანალოგიური პროდუქტებიც.

ბაქო–სუფსის და ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენების შემთხვევაში საქართველო მხოლოდ სატრანზიტო ქვეყნის როლს ასრულებს. საქართველო პირდაპირი სატრანზიტო შემოსავლების სახით მიღებული თანხა წელიწადში 50 მილიონ აშშ დოლარს აღწევს.

საქართველოს ტერიტორიას კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის კიდევ ერთი ენერგეტიკული დერეფანი – სამხრეთ კავკასიური გაზსადენი (SCP), რომელიც ბაქო–თბილისი–ერზრუმის სახელითაც არის ცნობილი. სამხრეთ–კავკასიური გაზსადენის (SCP) დანიშნულებაა, საქართველოს გავლით, შაჰდენიზისა და კასპიის ზღვის აუზის სხვა საბადოებიდან მოპოვებული ბუნებრივი გაზის თურქეთში ტრანზიტი, ხოლო შემდეგ, თურქეთიდან ევროპის ბაზრებზე გაზის ტრანსპორტირების განხორციელება. გაზსადენის პროექტის ხელშეკრულებების თანახმად, საქართველო არის არა მარტო სატრანზიტო, არამედ ბუნებრივი გაზის მომხმარებელი ქვეყანა. დღეისათვის ძალაშია 2 კონტრაქტი, რომელიც საქართველოს ბუნებრივი აირის შეღავათიან ფასად შესყიდვის საშუალებას აძლევს: ოფციური გაზის კონტრაქტი (ტრანზიტის მოცულობასთან უშუალოდ დაკავშირებული) და დამატებითი გაზის. ოფციური გაზის კონტრაქტი საშუალებას აძლევს საქართველოს შეისყიდოს გა–

ტარებული გაზის 5 %–მდე ყოველწლიურად. ეს კონ–ტრაქტი ძალაში 2066 წლამდეა. დამატებითი გაზის ყიდვა–გაყიდვის კონტრაქტი ძალაშია 2026 წლამდე და საქართველო მისი საშუალებით, ყოველწლიურად 500 მლნ კუბურ მეტრ გაზს იღებს.[63] გაზსადენის მეშ–ვეობით საქართველომ მომარაგება 2007 წლიდან დაიწყო და რუსეთის მიერ ენერგომომარაგების პო–ლიტიზაციის ფონზე რუსული ბუნებრივი აირის სასი–ცოცხლოდ მნიშვნელოვანი ალტერნატივა შეიძინა. შაჰ–დენიზიდან მიღებულმა ბუნებრივმა აირმა გააუმ–ჯობესა თურქეთის ენერგომომარაგებაც.

სამხრეთ კავკასიური გაზსადენი (SCP) საფუძ–ვლად დაედო გაზის სამხრეთის კორიდორს (SGC), რომელიც ექვს ქვეყანას მოიცავს. თავის მხრივ, გაზის სამხრეთი კორიდორი (SGC) წარმოადგენს აღმოსავლეთ–დასავლეთის ენერგეტიკული კორი–დორის ნაწილს. პროექტის განხორციელებაზე 45 მილიარდი აშშ დოლარი დაიხარჯა და 2014–2020 წლებში მსოფლიოს ყველაზე დიდი ენერგოპროექტი იყო. დღეისათვის გაზის სამხრეთი კორიდორი (SGC) სამი მილსადენის: სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) (მისი გაფართოების SCPX პროექტის ჩათ–ვლით), ტრანსანატოლიური(TANAP) და 2020 წლის ნოემბერში ამოქმედებული ტრანსადრიატიკული მილსადენებისგან (TAP) შედგება. გაზის სამხრეთი კორიდორის (SGC) დანიშნულება აზერბაიჯანული შაჰ დენიზის საბადოს ბუნებრივი აირის საქართვე–ლოს, თურქეთის, საბერძნეთისა და ალბანეთის ტერიტორიების გავლით იტალიაში მიწოდებაა. კო–

რიდორის სრულმასშტაბიანი ამოქმედების შემდეგ ევროპულ ბაზარს კასპიის რეგიონიდან დამატებით წლიური 10 მლრდ კუბური მეტრი გაზი მიეწოდება. დაგეგმილია მიწოდებული რაოდენობის გაორმაგება და ევროკავშირის ქვეყნებისთვის წლიური 20 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მიწოდება. საილუსტრაციოდ, ევროპის ძირითადმა მიმწოდებელმა, რუსეთმა, 2020 წელს 174.9 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მიწოდება უზრუნველყო.[64]

საწყის ეტაპზე გაზის სამხრეთი კორიდორი (SGC) ევროპის საჭიროების მხოლოდ 2%-ს დაფარავს, თუმცა გასათვალისწინებელია ამ გაზსადენის ის პოტენციალი, რომელიც მას აზერბაიჯანის დამატებითი საბადოების ან თურქმენეთის გაზის დამატების შემთხვევაში აქვს.

გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს კასპიის ზღვის რეგიონიდან ბუნებრივი აირის მიწოდებას თურქეთისთვის, რომლის ენერგობაზარზე 1990-იანი წლებიდან ასევე რუსეთი დომინირებს. 2018 წელს თურქეთმა „გაზპრომისგან“ 24 მილიარდი კუბი ბუნებრივი აირი შეიძინა, რითაც რუსული კომპანიის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელი გახდა.[65] რუსეთსა და თურქეთს შავი ზღვის ფსკერზე გამავალი ორი მილსადენი აკავშირებს: 2005 წელს ამოქმედებული „ბლუსტრიმი“, რომლის წლიური გამტარობა 16 მილიარდი კუბური მეტრია და 2020 წელს გაყვანილი „თურქსტრიმი“, რომელსაც წლიური 31.5 მილიარდი კუბის მიწოდება შეუძლია. ამ გაზსადენების მეშვეობით რუსეთი თურქეთს შუამავლების გარეშე

ამარაგებს და თურქეთის გავლით სამხრეთ ევროპის ქვეყნების მომარაგებაც უკრაინის გვერდის ავლით შეუძლია. რუსეთის საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით, ამას ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა, გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს – რუსული გაზი მოსკოვის ევროპასთან ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტია.

ამ კონტექსტში ცხადია იზრდება გაზის სამხრეთი კორიდორის (SGC) მნიშვნელობა როგორც თურქეთისთვის, რომელმაც მეშვეობით თურქეთმა უკეთესი ფასის გარდა, ბუნებრივი აირის მიღების საიმედო ალტერნატივაც შეიძინა, ისე ევროპისთვის, რომელსაც შეუძლია, თუნდაც მცირედ შეამციროს მისი დამოკიდებულება რუსულ გაზზე. 2020 წლის იანვარსა და ივლისს შორის თურქეთმა აზერბაიჯანიდან 6 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მიიღო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 24%-იანი ზრდაა. ახალი კონტრაქტების დადებით თურქეთი მუდმივად ზრდის აზერბაიჯანისგან მისაღები ბუნებრივი აირის რაოდენობას, რომლის მიღება საქართველოს გავლით მას გეოპოლიტიკური ფასის გადახდის გარეშე შეუძლია.

რეგიონში ენერგომომარაგების სფეროში მიმდინარე პროცესებზე საუბრისას აღნიშვნის ღირსია თურქეთის მიერ შავ ზღვაში ენერგომატარებლების სამძებრო სამუშაოების ჩატარების შედეგად აღმოჩენილი ბუნებრივი აირის მარაგების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. 2020 წლის ზაფხულში გაკეთებული განცხადებების მიხედვით, შავ ზღვაში

მდებარე რამდენიმე საბადოში თურქეთმა 520 მილიარდ კუბურ მეტრამდე ბუნებრივი აირის მარაგები აღმოაჩინა.[66] რა თქმა უნდა, შესწავლის გაგრძელების შედეგად მოსალოდნელია ამ ციფრების ცვლილება, თუმცა იქმნება თურქეთის ენერგობალანისის გაუმჯობესების მოლოდინი.

ყარაბაღის მეორე ომის მიერ გამოწვეულ შესაძლო ცვლილებებზე საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ რეგიონში განხორციელებული ენერგეტიკული პროექტების საწინდარი შეერთებული შტატების აქტიური პოლიტიკური და დიპლომატიური მხარდაჭერა იყო. შავი და კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის, მათი ენერგოდამოუკიდებლობის გაძლიერებისთვის ვაშინგტონმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური ინვესტიციები განახორციელა. საქართველო ამ პოლიტიკური მხარდაჭერისა და ინვესტიციების ერთ–ერთი უმსხვილესი ბენეფიციარი იყო, რამაც გააუმჯობესა როგორც მისი ეკონომიკური, ისე გეოპოლიტიკური მდგომარეობა. შეერთებული შტატების ამ სტრატეგიული ხაზის წყალობით თურქეთი და აზერბაიჯანი საქართველოს უახლოეს მოკავშირეებად და პარტნიორებად იქცნენ. ამას გარდა, გაიზარდა რეგიონის დანარჩენ მსოფლიოსთან ინტეგრაციის ხარისხიც. განვითარდა სავაჭრო და ლოგისტიკური კავშირები სამხრეთ კავკასიის, შუა აზიის და ხმელთაშუა ზღვის რეგიონებს შორის. ეს დინამიკა განსაკუთრებით სასარგებლო იყო საქართველოსთვის, რომელმაც მის გეოგრაფიულ მდება–

რეობაზე დაყრდნობით, აღმოსავლეთ–დასავლეთ და ჩრდილოეთ–სამხრეთ სავაჭრო და სატრანსპორტო დერეფნების შეუცვლელი რგოლის ადგილი დაიმკვიდრა.

გარდა ამისა, ახალ ენერგეტიკულ დერეფნებზე, გაზსადენებსა თუ ნავთობსადენებზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ქვაკუთხედი მათი ფინანსური რენტაბელობაა. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ფაქტორი ერთ–ერთი გადამწყვეტია ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, თუმცა მყარი ფინანსური საფუძვლის გარეშე ასეთი პროექტები პოლიტიკური განცხადებების ეტაპს ვერ სცდება. ამა თუ იმ პროექტის პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და გეოპოლიტიკური მიმზიდველობის მიუხედავად, ახალი ენერგეტიკული დერეფნების მშენებლობა შეუძლებელია მრავალმილიონიანი, ხშირად კი მრავალმილიარდიანი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. ასეთი ინვესტიციების დაბანდებას, უშუალოდ გუშინდელი კონფლიქტის ზონაში გამავალ პროექტთან დაკავშირებული რისკების განელების გარდა, დასჭირდება შესაბამისი დატვირთვის უზრუნველყოფა.

დღეს არსებული გეოპოლიტიკური გაურკვევლობა, კონფლიქტში ჩართულ მხარეებსა და მედიატორებს შორის ურთიერთობების მყიფე ხასიათი, კონფლიქტის ძირეული მიზეზების აღმოუფხვრელობა – ეს ის ფაქტორებია, რომლებიც კონფლიქტის ზონაში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების დასაწყებად საჭირო ინვესტიციების მოზიდვას უშლის ხელს.

კასპიის ზღვის შელფზე ახალი გაზისა თუ ნავთობის აღმოჩენის გარეშე ძნელი წარმოსადგენია, ბაქო–თბილისი–ერზრუმის და ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის მსგავსი სიმძლავრის პროექტების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება.

სამხრეთ კავკასიაში ახალი ენერგეტიკული პროექტების ალბათობაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ის პერსპექტივებიც, რომლებსაც ასეთ პროექტებს ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა უქმნის. ბრიუსელის პრიორიტეტი მკაფიოა: მომდევნო წლებში ევროკავშირის მოხმარებულ ენერგიაში მწვანე და განახლებადი ენერგიის წილის მნიშვნელოვანი ზრდაა დაგეგმილი. ევროკავშირის გარდა, ევროპის ქვეყნების ინდივიდუალური სტრატეგიაც ამ მიმართულებების განვითარებაზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ განახლებადი „სუფთა“ ენერგიის სტატუსს იბრუნებს დიდი ხნის განმავლობაში დემონიზებული ატომური ენერგია.

მოვლენების საქართველოსთვის არასასურველი სცენარით განვითარების შემთხვევაში სატრანსპორტო და სატრანზიტო ნაკადების მიმართულების შეცვლით გამოწვეული ზარალი დაკარგული შემოსავლებითა და იაფი გაზით არ შემოიფარგლება. 1990–იანი წლების ბოლოდან საქართველომ სახელმწიფო ინტერესების დასავლეთის ინტერესებთან თანხვედრა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის რუსეთისა და ირანის კონტროლს მიღმა არსებული სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის ათვისებით შეძლო. შესაბამისად, შეცდომა იქნება სატრანსპორ–

ტო და ინფრატსტრუქტურული პროექტების მხოლოდ ეკონომიკურ–ფინანსურ ჭრილში განხილვა და მათი სტრატეგიული განზომილების უგულებელყოფა. ამას მიუთითებს შეერთებული შტატების და დასავლეთის სხვა წამყვანი ქვეყნების ყურადღებაც, რომელსაც ისინი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის და საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილი მსგავსი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართ იჩენენ.

ამავე დროს, რეგიონის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, უკეთესი კომუნიკაციები სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის და ზოგადად სამხრეთ კავკასიის როგორც რეგიონის მიმზიდველობას ზრდის, რაც საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის არა დაკნინებას, არამედ გაუმჯობესებას გამოიწვევს.

საქართველოს წყალობით ამჟამად თურქეთს და აზერბაიჯანს საშუალება აქვთ სავაჭრო და ენერგეტიკული პარტნიორობა გააღრმავონ რუსეთისგან დამოუკიდებლად. ძნელი წარმოსადგენია რომელიმე მათგანმა ან ორივემ ერთად საქართველოს ნაცვლად ახალი სატრანსპორტო ან ენერგეტიკული დერეფნისთვის აირჩიონ ქვეყნის ტერიტორია, რომლის უსაფრთხოება მთლიანად დამოკიდებულია მოსკოვზე. აღსანიშნავია, რომ გიუმრის სამხედრო ბაზის და სომხეთის ტერიტორიაზე პრაქტიკულად შეუზღუდავი მანევრირების საშუალების გარდა, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო ნაწილები დგანან სომხეთის საზღვრების თითქმის მთე–

ლი პერიმეტრის გასწვრივ, მათ შორის, სომხეთისა და ირანის და სომხეთისა და თურქეთის საზღვარზე. ახალი სატრანსპორტო დერეფნების გახსნის და ძველების აღდგენის შესაძლებლობა, რომელ პირობასაც ადგილი სამმხრივ ხელშეკრულებაშიც მოეძებნა, არ ნიშნავს, რომ თურქეთი და აზერბაიჯანი უკვე არსებულ დერეფნებზე იტყვის უარს. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო რუსეთის მხრიდან საომარი მოქმედებების შეჩერების ერთ–ერთ პირობად ხელშეკრულებაში სატრანსპორტო არტერიების გახსნის ჩადება. მოსკოვისთვის მომგებიანი იქნება ყარაბაღის კონფლიქტის დამატებით ბენეფიტად თურქეთისა და აზერბაიჯანის დამაკავშირებელ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ არტერიებზე კონტროლის გაძლიერება, რისთვისაც ის სომხეთზე წნეხის გაზრდასაც არ მოერიდება. სხვა საკითხია, თუ რამდენად მზად იქნება ანკარა და ბაქო შეასუსტოს მათთვის ხელსაყრელი სტატუს–კვო ამ საკითხში და ახალი რისკები აიღოს საკუთარ თავზე.

ტრანსპორტი

ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ გამოკვეთილი ახალი რეალობა კარგი შესაძლებლობაა საქართველოს ლოგისტიკური შესაძლებლობების ფხიზლად გადახედვისთვის, შესაბამისი სისუსტეების შეფასების და პროაქტიურად იმ ხარვეზების აღმოფხვრისთვის, რომლებიც ქვეყანას მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფუუნქციის შესრულებას საფრთხეს უქმნის. სამწუხაროდ, საომარი მოქმედებების დას–

რულებიდან გასული 12 თვის განმავლობაში და იმ ალტერნატივებზე საუბრის გააქტიურების მიუხედავად, რომელთა ნაწილი საქართველოს ტერიტორიას გვერდს აუვლის, არ დაწყებულა არათუ შესაბამისი ზომების გატარება, არამედ ამ საკითხის აქტიური განხილვაც კი, სამთავრობო სტრუქტურების თუ საექსპერტო საზოგადოების მხრიდან. 2021 წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში მიდმინარე პროცესები ატარებს ყველა იმ საგანგაშო ნიშანს, რომელმაც თბილისის ყურადღება უნდა მიიპყროს და ამ მიმართულებით პოლიტიკა გააააქტიუროს.

მთიანი ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ახალი წესრიგის და ამ წესრიგიდან გამომდინარე ცვლილებებით გამოწვეული რისკებისგან თავის დასაზღვევად საჭირო ამოცანების გასაღები ქვეყნის შიგნითაა. დიდი ხანია ცნობილია, რომ საქართველო საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ნაწილობრივ იყენებს იმ შესაძლებლობებს, რომელსაც მას მისი გეოგრაფიული მდებარეობა სატრანსპორტო და სატრანზიტო კუთხით აძლევს. ნავთობსადენებისა და გაზსადენებისგან განსხვავებით ქვეყნის სატრანსპორტო ფუნქცია, იქნება ეს საავტომობილო, საზღვაო თუ რკინიგზის პოტენციალი შორს არის დამაკმაყოფილებლისგან.

დღეს ამა თუ იმ ქვეყნის ლოგისტიკური განვითარებისა და მიმზიდველობის გაზომვის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინსტრუმენტი „მსოფლიო ბანკის“ მიერ შექმნილი ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსია (Logistics Performance

Index — LPI).[67] ლოგისტიკის ეფექტიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: საბაჟო და საზღვრო გაფორმების ეფექტიანობა (customs); სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი (infrastructure); კონკურენტუნარიან ფასებში საერთაშორისო გადაზიდვების წარმოების სიმარტივე (international shipments); ლოგისტიკური მომსახურების კომპეტენტურობა და ხარისხი (logistics competence and quality); გზავნილებზე თვალყურის დევნებისა და კვალდაკვალ მიყოლის შესაძლებლობა (tracking & tracing); მიწოდების დაგეგმილ ან მოსალოდნელ ვადებში მიღებამდე გზავნილების მიტანის სიხშირე (timeliness). ამ კრიტერიუმების გამოყენებით დგება საკმაოდ ზუსტი სურათი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამა თუ იმ ქვეყნის ლოგისტიკური განვითარების შესახებ წარმოდგენის შექმნა.

საქართველო „მსოფლიო ბანკის“ მიერ ჩატარებულ კვლევებში 2010 წლის მერე ხვდება. 2010 წლის LPI რეიტინგში საქართველომ 155 ქვეყანას შორის 2.61 ქულით 93-ე პოზიცია დაიკავა; 2012 წლის LPI რეიტინგში საქართველო 16 პოზიციით წინაურდება და 2.77 ქულით 77-ე ადგილზე გადადის; დადებითი დინამიკა 2012 წლის შემდეგ წყდება: 2014 წლის LPI რეიტინგში, წინა რეიტინგთან შედარებით, საქართველო 2.51 ქულით 39 პოზიციას კარგავს და 116-ე პოზიციას იკავებს; შედეგი კიდევ უფრო უარესდება 2016 წელს, როცა საქართველო ამჯერად 2.35 ქულით კიდევ 14 პოზიციას კარგავს და 130 ადგილზე

ჩამოდის; ბოლო, 2018 წლის LPI რეიტინგში, საქართველოს პოზიცია მსუბუქად უმჯობესდება, 2.44 ქულით ის 119–ე პოზიციაზე ინაცვლებს.

„მსოფლიო ბანკის„ მიერ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული კვლევების შედეგების მიხედვით საქართველოს ლოგისტიკური სისტემის განვითარების დონე საკმაოდ დაბალია: 2012 წლის შემდეგ საქართველო რეიტინგის პირველი ასეულის მიღმაა. 2016 და 2018 წლებს შორის პოზიციის მსუბუქი გაუმჯობესების მიუხედავად, სახეზეა საქართველოს LPI–ს ინდექსის ცალსახად უარყოფითი დინამიკა. თავისთავად, 160 ქვეყნიდან 119–ე პოზიციაზე მყოფი საქართველო ჩამორჩება ყველა განვითარებულ ქვეყანას, თუმცა „მსოფლიო ბანკის“ რეიტინგში მას უსწრებენ ისეთი ქვეყნებიც როგორიცაა უზბეკეთი, სომხეთი, ყირგიზეთი, უკრაინა, ყაზახეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი ნაწილი. ასეთი უარყოფითი დინამიკა მიუთითებს, რომ საქართველოს ლოგისტიკური სისტემა საუკეთესო შემთხვევაში სტაგნაციას განიცდის, რაც მისი ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ყოველწლიური გაუარესებით გამოიხატება. აღსანიშნავია, რომ ვერ შესრულდა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგია «საქართველო 2020»–ში[68] დასახული ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსის გაუმჯობესებაც: დოკუმენტის მიხედვით 2017 წელს მისი მნიშვნელობა 3.1–მდე უნდა გაზრდილიყო. 2020 წელს ეს მაჩვენებელი 3.3–

ს უნდა გატოლებულიყო. მართალია 2020 წლის რეიტინგი ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა საეჭვოა 2018 წლის 2.44 ქულიდან, რომლითაც საქართველო 119-ე ადგილს იკავებს, 3.31-ზე ასულიყო, რაც მას რეიტინგის პირველ ორმოც ქვეყანაში მოაქცევდა.

როგორც „მსოფლიო ბანკის“ კვლევა აჩვენებს საქართველოს ლოგისტიკური სისტემის უკუსვლა შემდეგი პირობების დროთა განმავლობაში გაუარესებამ გამოიწვია: 1. საბაჟო და სასაზღვრო გაფორმების ეფექტიანობა; 2. კონკურენტუნარიან ფასებში საერთაშორისო გადაზიდვების წარმოების სიმარტივე; 3. სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი; 4. ლოგისტიკური მომსახურების ხარისხი.[69]

ასეთი დაბალი ეფექტურობის მქონე ლოგისტიკური სისტემით საქართველო არა მარტო ახალი გამოწვევების წინაშეა დაუცველი, არამედ დღეს არსებულ გარემოშიც კი არ არის მიმზიდველი. საქართველოს მიერ მისთვის სტრატეგიული სატრანზიტო ფუნქციის შესანარჩუნებლად დაუყოვნებლივ არის დასაწყები დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნა და არსებულის მოდერნიზაცია/დასრულება. უნდა აღმოიფხვრას სატრანსპორტო გადაზიდვების მენეჯმენტთან და ოპერაციებთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.

შიდა პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად, ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი ქვეყნის საზღვრის გარეთაც. საქართველოს ტვირთბრუნვის გაზრდის ერთ-ერთი უმოკლესი გზა შუა აზიიდან ევროპისკენ

მიმავალი ტვირთების საქართველოსკენ გადმომი–სამართება იქნება. ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე ამ ქვეყნების მსხვილი ექსპორტიო–რები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფო სტრუქტურებთან, რაც საქართველოს საელჩოების–თვის ასპარეზის აქტიურად გამოყენების საწინდარია. მაგალითად, ყაზახეთს რუსეთის გავლით ევროპაში ყოველწლიურად 150 მილიონი ტონა ტვირთი გააქვს, საქართველოს გავლით კი მხოლოდ 1 მილიონი.

საქართველოს სატრანზიტო სტატისტიკის, ინ–ფრასტრუქტურული განვითარების ტემპის, არსე–ბული შესაძლებლობების ათვისების და შესაბამისი რეიტინგების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ როგორც საქართველოს ეკონომიკისთვის, ისე მისი უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესი სატრან–ზიტო–სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციას ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა უფრო განაპირობებს, ვიდრე ამ ფუნქციის ათვისების თანმიმდევრული პო–ლიტიკა და ამ პოლიტიკის განხორციელებაზე მიმარ–თული შესაბამისი ძალისხმევა. შესაბამისად, არ უნ–და იყოს გასაკვირი ის მძაფრი რეაქციაც, რომელიც რეგიონში იმ მოცემულობის ცვლილებას მოჰყვა, რომლითაც საქართველო პასიურ რეჟიმში სარგებ–ლობდა. ცვლილებების სწრაფი ტემპითა და მასშტა–ბურობით გამორჩეულ პერიოდში ასეთი მიდგომის გაგრძელება საქართველოს უკიდურესად უარყო–ფითი შედეგების მოტანას უქადის. საქართველოს სატრანსპორტო და სატრანზიტო შესაძლებლობების რეალიზაციის გასაღები ქვეყნის შიგნითაა. დღესაც

კი, ყარაბაღის მეორე ომის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო და მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების ყველაზე ხელსაყრელ ადგილად კვლავაც საქართველო რჩება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს არის არა თბილისის მიერ შექმნილი შესაძლებლობების ან პროაქტიური პოლიტიკის შედეგი, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დადებული შეთანხმების შეუსრულებლობის გამო. ამ საქართველოსთვის ხელსაყრელ ვითარების გამოყენებაზე ზრუნვა დაუყოვნებლივ არის დასაწყები.

გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების ფონზე განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მსგავსი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება, რომლებიც საქართველოს ლოგისტიკური ქსელისთვის ასე საჭირო განახლებისა და დივერსიფიკაციის მომტანი იქნებოდა. ახალი, სტრატეგიული მნიშვნელობის სატრანზიტო ინფრასტრუქტურის შექმნის აუცილებლობაზე მიუთითებდა წლების განმავლობაში საქართველოს სტრატეგიული პარტნიორიც.[70] სამწუხაროდ, ასეთი მოწოდებებიც უშედეგო გამოდგა. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული ყარაბაღის მეორე ომის დასასრულმა საქართველოს დასავლეთის განსაკუთრებული ყურადღების საგნად ისევ აქციოს.

დემოკრატია

ალიევის ხელმძღვანელობით ყარაბაღის მეორე ომში მოპოვებულმა გამარჯვებამ მისი ძალაუფლება განუსაზღვრელი ვადით გააგრძელა. უკვე რეპრესირებულმა, უკიდურესად დასუსტებულმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ დაკარგა პრაქტიკულად ყველა შესაძლებლობა, ალიევის რეჟიმი განჭვრეტად მომავალში შეცვალოს. ალიევის მეთაურობით აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების გამარჯვებამ ქვეყნის უპრეცედენტო სამოქალაქო კონსოლიდაცია გამოიწვია, დემოკრატიული ცვლილებების ალბათობა კი მინიმუმამდე დაიყვანა. ილჰამ ალიევი დღეს დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ყველაზე წარმატებულ ლიდერად ითვლება.

მეორე მხრივ, მისი მოწინააღმდეგე, დემოკრატიულად არჩეული ლიდერი, ნიკოლა ფაშინიანი, დამოუკიდებელი სომხეთის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური სამხედრო მარცხის სიმბოლოდ იქცა. რუსეთი და ფაშინიანის მოწინააღმდეგე „ყარაბაღის კლანი“ ძალისხმევას არ იშურებს, რათა ყარაბაღის ომის ამ შედეგში ფაშინიანის მთავრობა დაადანაშაულოს. ამ პოლიტიკური სტრატეგიის წარმატება, როგორც 2021 წლის ივნისში სომხეთში

გამართულმა საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რბილად რომ ვთქვათ, შეზღუდულია. ფაშინიანმა და მისმა პოლიტიკურმა გუნდმა მოახერხა სომეხი ამომრჩევლები დაერწმუნებინა, რომ სომხეთის მიერ 2020 წლის შემოდგომაზე განცდილი მარცხი არა მისი, არამედ სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის მმართველობის სადავეებთან 30 წლის განმავლობაში მყოფი „ყარაბაღის კლანის“ პასუხისმგებლობა იყო. გარდა ამისა, 2021 წლის არჩევნების „თავისუფალ და სამართლიან“ გარემოში ჩატარებამ ფაშინიანის, როგორც დემოკრატი ლიდერის რეპუტაცია კიდევ უფრო გაამყარა. ბევრი რეგიონული ლიდერი ვერ გაბედავდა ასეთი მარცხის შემდეგ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას და ამ არჩევნების მასშტაბური მანიპულაციების გარეშე ჩატარებას. სამწუხაროდ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ასეთი მიღწევა მხოლოდ სომხეთის ანგარიშზეა.

ამ კუთხით საქართველოსთვის ყარაბაღის მეორე ომი ორმაგი ფორმით წარმოდგება: ერთი მხრივ, ავტორიტარი ლიდერი, რომელმაც არადემოკრატიული მმართველობის პირობებში მოახერხა მისი ქვეყნისთვის ათწლეულების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემის გადაწყვეტა და ქვეყნის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ხოლო მეორე მხრივ, დემოკრატიულად არჩეული ლიდერი, რომელმაც მწარე მარცხი იწვნია და მისი ქვეყნის მდგომარეობა მნიშვნელოვანად გააუარესა. 2020 წლის შემოდგომაზე განვითარებული მოვლენე-

ბის ასეთი ხედვა დემოკრატიული ძალებისთვის დამაზიანებელია. ამავე დროს, იგივე მოვლენების ალტერნატიული ხედვის შემოთავაზებაცაა შესაძლებელი: მძიმე მარცხის მიუხედავად, პოლიტიკური ლიდერი საკუთარი სიტყვის ერთგული დარჩა, ენდო დემოკრატიულ პრინციპებს და გამარჯვება მისთვის უკიდურესად რთულ პერიოდში დიდი უპირატესობით მოიპოვა. ეს ფაქტი შესაძლოა სწორედ იმ უპირატესობებზე მიუთითებს, რომლებიც დემოკრატიულ სისტემას ავტორიტარული სისტემის წინაშე გააჩნია.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი რუსეთის მიმართ კრიტიკული მიდგომით არასდროს გამოირჩეოდა. მისი მმართველობისას აზერბაიჯანს არ გამოუხატავს ინტერესი ნატო–ში ან ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ. ფაშინიანისგან განსხვავებით, ალიევს არ ახასიათებს პუტინისთვის ესოდენ საძულველი დემოკრატიული რიტორიკა. ალიევის ყურადღებიანმა და ფრთხილმა მიდგომამ კრემლის კეთილგანწყობა დაიმსახურა. მიუხედავად ფორმალური განსხვავებებისა, პუტინი თავის განცხადებებში სომხეთსა და აზერბაიჯანს რუსეთისთვის ერთნაირ და თანასწორ პარტნიორებად მიიჩნევს. ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობაში განხეთქილების კერები არ არსებობს. აზერბაიჯანი სასარგებლო წიაღისეულის ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკით რუსეთის პირდაპირი კონკურენტი და რეგიონში რუსეთის ისტორიული მეტოქის სტრატეგიული პარტნიორია.

მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის მმართველობის მოდელი და წყობა დღეს ბევრად ახლოს არის პუტინის რეჟიმის კონფიგურაციასთან ვიდრე მეზობელი საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკურ სისტემებთან.

დასკვნა

ვერავინ უარყოფს, რომ 44 დღიანი ომის შედეგმა რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი შექმნა. ასევე ნათელია, რომ ძველი სატრანსპორტო არტერიების გახსნა და ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყება გააუმჯობესებს რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობას და საინვესტიციო მიზიდულობას, ასევე გაზრდის მშვიდობის შენარჩუნების ალბათობასაც.

ნაკლებად ნათელია 2020 წლის სექტემბერ–ნოემბერში მიმდინარე საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ გაჩენილი ამ პერსპექტივების გამოყენების შესაძლებლობა. მასშტაბური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის და სამმხრივი შეთანხმების ხელმოწერის, თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების ნაწილობრივ აღდგენის და ახალი რეგიონული პროექტების აქტიური განხილვის მიუხედავად, რჩება რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც, ამ ეტაპზე, ეჭვქვეშ აყენებს რეგიონში არსებული სატრანსპორტო და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში ძირეული ცვლილების გამოწვევას.

პირველი მიზეზი პოლიტიკურია. დაპირისპირებულ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრუ-

ლების მიუხედავად, კონფლიქტის მთავარი მიზეზი, მთიანი ყარაბაღის რეგიონის სტატუსი, მხარეებს შორის კვლავაც შეუთანხმებელია. ამ საკითხის უახლოეს მომავალში გადაწყვეტის ალბათობას ამცირებს სომხეთისა და აზერბაიჯანის ამ საკითხისადმი დიამეტრულად საპირისპირო მიდგომები. აზერბაიჯანი რეგიონზე კონტროლის დამყარებას საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენად აფასებს და სტატუსზე მოლაპარაკებების დაწყებასაც კი არ განიხილავს შესაძლებლად. ერევანი ამტკიცებს, რომ ყარაბაღის მეორე ომის შედეგებს არ უმოქმედია მთიანი ყარაბაღის სტატუსის განსაზღვრის საკითხზე და აზერბაიჯანს ამ თემაზე დიალოგის გაგრძელებისკენ მოუწოდებს.

მეორე ფაქტორი ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შეუსრულებლობაა. 9–10 ნოემბერს დადებული შეთანხმების ამოქმედების შემდეგ სომხეთისა და აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებს შორის არაერთი შეტაკება მოხდა.[71] ადგილი ჰქონდა როგორც ფიზიკურ დაპირისპირებასა და მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო მოსამსახურეთა ტყვედ აყვანას, ისე სხვადასხვა შეიარაღების, მათ შორის მსხვილკალიბრიანი არტილერიის, გამოყენებას. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გასული ერთი წლის განმავლობაში იყო მსხვერპლიც. ადგილი ჰქონდა ძალისმიერი მეთოდებით როგორც ახალი პოზიციების დაკავებას, ისე სომხური მხარის უკვე დაკავებული პოზიციებიდან განდევნას. გარდა ამისა, აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა რამდენჯერმე გადაკეტეს სიუნიკის

პროვინციაში გამავალი, სომხეთის ირანთან დამაკავშირებელი გორის–კაპანის გზის 21 კილომეტრიანი მონაკვეთი[72], რომელზეც საბაჟო–გამშვები პუნქტები დააწესეს და ირანიდან სომხეთში მიმავალი ტვირთების შემოწმება და საბაჟო მოსაკრებლის აკრეფა დაიწყეს. აღსანიშნავია, რომ ამ გზით სარგებლობაში ახალი შეფერხებების თაობაზე უკმაყოფილება გამოთქვა თეირანმაც და სომხეთს ალტერნატიული შემოვლითი გზის მშენებლობაში დახმარება აღუთქვა.[73] ძნელი წარმოსადგენია ახალ სატრანსპორტო დერეფნებზე საუბარი მაშინ, როცა მხარეებს შორის არ არის შეთანხმებული თუ ვინ აკონტროლებს უკვე არსებულ სატრანსპორტო არტერიებს. სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე რამდენჯერმე გახსნილმა ცეცხლმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ყარაბაღის მეორე ომის შედეგად შეცვლილი სტატუს–კვო არ უნდა იყოს აღქმული როგორც კონფლიქტის მოგვარების საბოლოო ფორმა.

მესამე ფაქტორი შეთანხმების მუხლების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციაა. 9–10 ნოემბრის სამმხრივი შეთანხმების ყველაზე ძნელად შესასრულებელი მისი მერვე და მეცხრე პუნქტები აღმოჩნდა, რომლებიც სხვა სატრანსპორტო კომუნიკაციებთან ერთად ნახიჭევანის ოლქსა და აზერბაიჯანის დანარჩენ ტერიტორიას შორის პირდაპირი კავშირის აღდგენას გულისხმობს. „ზანგეზურის კოირდორის“ საკითხზე შეთანხმება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ჯერ მიღწეული არ არის. ბრიუსელში გამართული უკანასკნელი შეხვედრის შემდეგაც გამოიკვეთა

აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერთა პოზიციების შეუთავსებლობა[74] ლაჩინისა და ზანგეზურის დერეფნების საკითხზე.[75]

ტრადიციულად, დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცნენ რუსი სამშვიდობოები. როგორც ჩანს, რუსეთმა ქცევის მისთვის დამახასიათებელი მოდელი არჩია, რომლის უპირველესი თვისება დადებული შეთანხმების პირობების უგულებელყოფაა. აზერბაიჯანული მხარის მტკიცებით ხუთ წლიანი განახლებადი მანდატის მქონე შენაერთების რიცხვი, რომელიც 9–10 ნოემბრის შეთანხმების მიხედვით 2000-ს არ უნდა სცდებოდეს, სამოქალაქო მოხელეების დამატების ხარჯზე უკვე 7–8 ათასს აღწევს.[76] გარდა ამისა, ბაქო რუს სამშვიდობო ძალებს ახსენებს მათ მოვალეობას აღკვეთონ სომხური შეიარაღებული შენაერთების დაშვება მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ ზონაში. 2021 წლის 11 აგვისტოს, სომხურ შენაერთებთან მომხდარი რამდენიმე შეტაკების შემდეგ, აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ საჯაროდ მოუწოდა რუს სამშვიდობოებს შეესრულებინათ ნოემბრის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება.[77] კიდევ ერთი პრეტენზია, რომელსაც აზერბაიჯანი რუსულ შენაერთებს უყენებს, მათი კონტროლის ქვეშ არსებული სატრანსპორტო დერეფნებში აზერბაიჯანის მიერ მინიჭებული ნებართვის გარეშე მოძრავი ირანული სატვირთო მანქანების გატარებაა. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ ამ შემთხვევაშიც საპროტესტო წერილებით მიმართა რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და სამშვიდობო კონტინგენტის შტაბს.[78] რუსი სამშვი-

დობოების მიმართ ბრალდებები ისმის აზერბაიჯანელი პარლამენტარებისგანაც, რომელთა ნაწილმა მათ ბრალი „სეპარატისტების მხარდაჭერაში“ დასდო.[79] ასეთი უარყოფითი დინამიკის შენარჩუნების შემთხვევაში იზრდება ალბათობა იმისა, რომ აზერბაიჯანი 9–10 ნოემბრის შეთანხმებით მინიჭებულ უფლებას გამოიყენებს და რუსი სამშვიდობოების ყარაბაღში ყოფნის მანდატს 5 წლის გასვლისთანავე დაასრულებს. პოსტ-საბჭოთა ისტორიის ზედაპირული მცოდნეებისთვისაც კი გასაგებია, თუ რამხელა რისკის შემცველია ასეთი მოცემულობა რეგიონული სტაბილურობისთვის. განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს მაგალითი, სადაც რუსეთმა „სამშვიდობოები“ ჯერ სამხედრო აგრესიის განხორციელების პრეტექსტად გამოიყენა, შემდეგ კი ისინი ბევრად მრავალრიცხოვანი და მძიმედ შეიარაღებული საოკუპაციო ძალებით ჩაანაცვლა. 44-დღიანი ომის დროს მიღწეული მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატებების დაფიქსირებისთვის რუსეთის შეზღუდული კონტინგენტის დაშვება აზერბაიჯანისთვის 2020 წლის ნოემბერში მისაღები კომპრომისი აღმოჩნდა. დრო აჩვენებს ამ გადაწყვეტილების გრძელვადიან შედეგებს.

კონფლიქტის მიმდინარეობისას და მისი დამთავრების შემდეგ საქართველოს ოფიციალური პირებისა და საექსპერტო საზოგადოების კომენტარების დიდი ნაწილი საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის დაკნინების ან დაკარგვის პერსპექტივებზე იყო კონცენტრირებული. 9–10 ნოემბრის სამმხრივი შეთანხმების

ხელმოწერიდან გასულმა ერთმა წელმა ცხადყო, რომ ისეთი ახალი პროექტების პერსპექტივა, რომლებსაც საქართველოში დღეს არსებული ინფრასტრუქტურის ან მის მიერ შესრულებული ფუნქციების საფრთხეში ჩაგდება შეუძლია, საუკეთესო შემთხვევაში შორეულია. მეორე მხრივ, რეგიონში ცვლილებები გარდაუვალია. ყარაბაღის კონფლიქტის 27 წლიანი "გაყინული" ფაზის წყალობით საქართველოს საკმარისზე ბევრი დრო ჰქონდა, რათა ასეთი ცვლილებებისათვის მომზადებულიყო. ახლა, ამა თუ იმ სატრანსპორტო პროექტის გამო საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის დაკნინებაზე წუხილის ნაცვლად საჭირო პროაქტიური მოქმედებაა, რომლის მიზანი საკუთარ ტერიტორიაზე უკვე არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახლის შექმნაა. ამ მხრივ, ყველაზე გადაუდებელი ზომები საქართველოს ლოგისტიკური მიმზიდველობის გაზრდისთვისაა გასატარებელი. შექმნილ ახალ სამუშაო ადგილებს, სახელმწიფოს მიერ მიღებულ დამატებით სატრანზიტო შემოსავალს პოზიტიური გავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. გამყარდება საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა საერთაშორისო ასპარეზზე.

რეგიონულ ვითარებაზე და საქართველოს თავისებურებებზე დაყრდნობით შესაძლებელია განვაცხადოთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც საქართველომ საკუთარი სტრატეგიული მდგომარეობის გასაძლიერებლად უნდა გააკეთოს არის ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომლებიც უკვე არსებულ რეგიო–

ნულ კომუნიკაციებს გააუმჯობესებს. ამ შემთხვევაში, დასავლეთის და საკუთარი ინტერესების დაცვასთან ერთად, საფუძველი ეყრება ისეთ მოცემულობას, რომელშიც საქართველოსთვის გვერდის ავლა კიდევ უფრო რთული და აზრს მოკლებული იქნება. საქართველოს მაღალი კონკურენტუნარიანობა მისი სტრატეგიული როლის შენარჩუნების საუკეთესო გზაა.

შემთხვევითი არ არის სატრანსპორტო დერეფნების გახსნისადმი მოსკოვის მიერ გამოვლენილი განსაკუთრებული ყურადღება. საკუთარ სამხედრო ბაზებთან კავშირის გაუმჯობესებისა და ზოგადად რეგიონთან დამაკავშირებელი კომუნიკაციებით დაინტერესებული რუსეთის კიდევ ერთი მიზანი რეგიონში საქართველოს, როგორც დასავლეთის ინტერესების დამცველი და გამტარებელი ქვეყნის, მაქსიმალური იზოლაციაა. ამ ვითარებაში საქართველომ უნდა გააორმაგოს ძალისხმევა როგორც საკუთარი შესაძლებლობების გაზრდის კუთხით, ისე სომხეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობების გაღრმავებისა და გაუმჯობესებისათვის.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ისევ და ისევ გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ახალი სატრანსპორტო დერეფნებისა და კომუნიკაციების ინიციატივებში აუცილებლად მოიძებნება საქართველოს ადგილიც. ასე მოხდა საომარი მოქმედებების დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ გამოცხადებულ ინიციატივებს შორის ყველაზე რეალისტური და განხორციელებასთან ახლოს მდგომი პროექტის შემთხვევაში, რომელიც სპარსეთის ყურეში მდებარე

ირანის პორტებიდან ტვირთების აზერბაიჯანისა და საქართველოს შავი ზღვის პორტების გავლით ევროპაში მიწოდებას გულისხმობს.[80] ამჯერადაც, ტვირთების მოცულობის ზრდასთან ერთად, საქართველო მისი ლოგისტიკური განვითარების დონის ამაღლების აუცილებლობის წინაშე დადგება.

მთიანი ყარაბაღის მეორე ომის შედეგებს შორის საქართველოსთვის ყველაზე საყურადღებო ის შეცდომებია, რომელთა გამო სომხეთმა თავი გეოსტრატეგიულ ჩიხში მოიქცია. ამ მხრივ საგანგაშოდ გამოიყურება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მულტივექტორულობის შესახებ მაღალი თანამდებობის პირების მიერ[81] გამოთქმული მოსაზრებები. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ საგარეო პოლიტიკაში დაშვებულმა შეცდომებმა შეიყვანა სტრატეგიულ ჩიხში სომხეთი, როცა სომხეთს „თავი ისრაელი ეგონა, სინამდვილეში კი პალესტინელთა მდგომარეობაში აღმოჩნდა“.[82]

და ბოლოს, საომარი მოქმედებების დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ და უახლესი გამწვავებების ფონზე ინიციატივა გამოიჩინა ევროკავშირმაც. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებს 2021 წლის დეკემბერში ბრიუსელში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ფარგლებში სამმხრივ ფორმატში უმასპინძლა.[83] ბრიუსელში მიწვევის გარდა ლიდერებმა გაიზიარეს კონფლიქტის პრევენციის ახალი მექანიზმის, თავდაცვის მინისტრებს შორის პირდაპირი სატელეფონო კავშირის დამყარების წინადადე-

ბაც. ევროკავშირის ინიციატივა ცხადყოფს, რომ კონ–ფლიქტის დეესკალაციის მცდელობის გარდა, მისი კიდევ ერთი მიზანი ბოლოდროინდელი მოვლენებით დაზიანებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორ–მატის განახლება და განვითარებაა. ამ სამიტის ფარ–გლებში ალიევისა და ფაშინიანის შეხვედრის გამარ–თვა მიანიშნებს, რომ ბრიუსელს ამ ფორმატისთვის ახალი ფუნქციის დამატება სურს. მეტ–ნაკლებად მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევის შემთხვევა–ში ევროკავშირი აღადგენს სამეზობლო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმატის შელახულ პრეს–ტიჟს და, ამავე დროს, შექმნის რუსეთის, როგორც და–პირისპირებულ მხარეებს შორის ერთადერთი მედია–ტორის, მნიშვნელოვან ალტერნატივას. მართალია დღევანდელი მდგომარეობით ბრიუსელს მხარეებზე გავლენის მოსახდენად მოსკოვზე გაცილებით სუსტი ბერკეტები აქვს, თუმცა ძალიან საინტერესო შეთა–ვაზებების გაკეთება შეუძლია როგორც ექსპორტზე ორიენტირებული აზერბაიჯანისთვის (ევროკავშირი აზერბაიჯანის მთავარი სავაჭრო პარტნიორია, მისი ექსპორტის 51% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის[84]), ისე ათწლეულებით ნახევრად ბლოკადაში მოქცეული სომხეთისთვის. თავისთავად ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიის ორი ქვეყანა მათ შორის არსებული უთან–ხმოებების მოგვარებას ევროკავშირთან ცდილობენ – მნიშვნელოვანი პრეცედენტია. საქართველო, რო–გორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე და რეგიონის ყველაზე პრო–დასავლური ქვეყანა, დაინ–ტერესებული უნდა იყოს ევროკავშირის ამ ინიციატი–

ვის წარმატებაში.

გარდა იმისა, რომ რეგიონში ევროკავშირის როლის გაძლიერება და რუსეთის გავლენის შესუსტება საქართველოს ბუნებრივი ინტერესია, რეგიონში ევროკავშირის ეგიდით მიღწეული სტაბილურობა ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება როგორც გეოპოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. საქართველოს ინტერესებში შედის ორ მეზობელ ქვეყანასა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესებაც. აზერბაიჯანისა და სომხეთის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის ზრდა გაზრდის საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტვირთბრუნვას, გააუმჯობესებს ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობას, როგორც უშუალო სამეზობლოში, ისე დასავლეთში. დამატებითი სარგებლის მომტანი იქნება ევროკავშირის ქვეყნების მიერ კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მოპოვებული ბუნებრივი აირისა და ნავთობის შესყიდვების ზრდაც, რადგან მათი მიწოდების ძირითადი არხებიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის. შესაბამისად, სასურველი იქნება თბილისის მიერ მეზობლებსა და ბრიუსელს შორის ამ ფორმატში მოლაპარაკებების მაქსიმალური ხელშეწყობა. ეს საქართველოს მისთვის საშიში 3+3 ინიციატივისგან დისტანცირების საფუძველსაც გაუმყარებს.

კომენტარები

1 Armenian PM Says Almost 3,800 Soldiers Killed In War With Azerbaijan. RFERL. 24.08.2021 https://www.rferl.org/a/armenian-deaths-karabakh-war/31425644.html (accessed 13.10.2021)

2 Human Rights Watch. Seven Years of Conflict in Nagorno-Karabakh. December 1994, p. xiii, ISBN 1-56432-142-8, citing: Natsional'nyi Sostav Naseleniya SSSR, po dannym Vsesoyuznyi Perepisi Naseleniya 1989 g., Moskva, "Finansy i Statistika.

3 Christoph Zürcher, The Post-Soviet Wars: Rebellion, Ethnic Conflict, and Nationhood in the Caucasus. New York and London: New York University Press, 2007

4 Laurence Broers, Armenia and Azerbaijan: Anatomy of a Rivalry, Edinburgh University Press, 2019

5 European Court Verdict into Georgia vs. Russia Case over 2008 War, Civil.ge, 21.01.2021 https://civil.ge/archives/392226 (accessed 04.11.2021)

6 How, Why, and When Russia Will Deploy Little Green Men, FPRI, 09.03.2016 https://www.fpri.org/article/2016/03/how-why-and-when-russia-will-deploy-little-green-men-and-why-the-us-cannot/ (accessed 06.11.2021)

7 Weapons of the War in Ukraine: A three-year investigation of weapon supplies into Donetsk and Luhansk. Conflict Armament Research, 02.11.2021 https://www.conflictarm.com/reports/weapons-of-the-war-in-ukraine/ (accesed 08.11.2021)

8 OSCE Minsk Group, https://www.osce.org/mg

9 Statistical Service of Armenia, https://www.armstat.am/en/?nid=12&id=19001&submit=Search (accessed 03.11.2021)

10 State Statistical Committee of Azerbaijan https://www.stat.gov.az/source/demoqraphy/ap/ (accessed 04.11.2021)

11 World Bank national accounts data https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG?end=2020&locations=AZ&start=1992&view=chart (accessed 13.11.2021)

12 World Bank Open Data https://data.worldbank.org (accessed 11.11.2021)

13 Arms transfers to conflict zones: The case of Nagorno-Karabakh, SIPRI, 30.04.2021 https://www.sipri.org/commentary/topical-backgrounder/2021/arms-transfers-conflict-zones-case-nagorno-karabakh (accessed 14.11.2021)

14 SIPRI https://armstrade.sipri.org/armstrade/page/values.php (accessed 30.10.2021)

15 Stockholm International Peace Research Institute, arms transfers database 03.2020 https://www.sipri.org/databases/armstransfers (accessed 30.10.2021).

16 Öztarsu, Mehmet Fatih. "Military Relations of Turkey and Azerbaijan". Strategic Outlook. https://web.archive.org/web/20130921060425/http://www.strategicoutlook.org/publications/news-military-relations-of-turkey-and-azerbaijan.html (accesed 02.11.2021).

17 Turkey's Overlooked Role in the Second Nagorno-Karabakh War. GMFUS. 21.01.2021 https://www.gmfus.org/news/turkeys-over-

looked-role-second-nagorno-karabakh-war (accessed 09.11.2021)

18 „С какой целью оппозиционер Никол Пашинян прибыл в Москву? “, Российско-армянское информационное агенство*, 20.09.2015*, https://rusarminfo.ru/2015/09/20/s-kakoj-celyu-oppozicioner-nikolpashinyan-pribyl-v-moskvu/

19 Are frosty relations between Turkey and Armenia thawing? Al Jazeera, 01.09.2021 https://www.aljazeera.com/news/2021/9/1/are-frosty-relations-between-turkey-and-armenia-thawing

20 The CNN Turk TV channel has interviewed Ilham Aliyev,14.08.2021 https://en.president.az/articles/52736 (accessed 19.10.2021)

21 Great leader Heydar Aliyev's 'One nation, two states' slogan to stand forever - Turkish FM. AzerNews 12.12.2020 https://www.azernews.az/nation/173830.html (accessed 28.10.2021)

22 Turkey ranks as 7th biggest gas-consuming country globally in 2020. 26.05.2021 https://www.hurriyetdailynews.com/turkey-ranks-

as-7th-biggest-gas-consuming-country-globally-in-2020-165022 (accessed 24.10.2021)

23 6-country regional cooperation platform win-win for actors in Caucasus, Erdoğan says. 11.10.2020 https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/6-country-regional-cooperation-platform-win-win-for-actors-in-caucasus-erdogan-says (accessed 12.11.2021)

24 ილჰამ ალიევმა და რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ქალაქ შუშაში ერთობლივ სამოკავშირეო დეკლარაციას მოაწერეს ხელი. 15.06.2021 https://1tv.ge/news/ilham-alievma-da-rejef-taif-erdoghan-ma-qalaq-shushashi-ertobliv-samokavshireo-deklaracias-moaweres-kheli/ (accessed 01.11.2021)

25 Shusha Declaration Cements Azerbaijani-Turkish Alliance. The Jamestown Foundation. Eurasia Daily Monitor Volume: 18 Issue: 100 Volume. 23.06.2021 https://jamestown.org/program/shusha-declaration-cements-azerbaijani-turkish-alliance/ (accessed 08.11.2021)

26 Azerbaijan publishes full text of Shusha Declaration on Allied Relations. Trend.

AZ.16.06.2021 https://en.trend.az/azerbaijan/politics/3440715.html (accessed 05.11.2021)

27 Will Azerbaijan Join the “Eurasian NATO”? Carnegie Moscow Center. 28.08.2018 https://carnegiemoscow.org/commentary/77116 (accessed 05.11.2021)

28 M.Çelikpala, C. Veliyev (2015), Azerbaijan-Georgia-Turkey: An Example of a Successful Regional Cooperation. Policy Brief, Center for International and European Studies. https://www.khas.edu.tr/cms/cies/dosyalar/files/CIES%20Policy%20Brief%2004.pdf

29 Turkish foreign minister calls for enlarged NATO, Georgia membership, Reuters, 23.01.2020 https://reut.rs/2RMCh7i (accessed 05.11.2021)

30 Sayin, F. M., & Dogan, M. (2017). Political relations between Turkey and Georgia in the post-soviet era. Journal of *Liberty and International Affairs, 3(2), 42-54.* https://nbn-resolving.org/urn:nbn:de:0168-ssoar-54370-8

31 Erdogan and Putin battle it out for control of the Black Sea, Asia Nikkei , 26.04.2021

https://asia.nikkei.com/Opinion/Erdogan-and-Putin-battle-it-out-for-control-of-the-Black-Sea (accessed 01.11.2021)

32 Cumhurbaşkanı Erdoğan: Hiçbir zaman faizin yükseltilmesini savunmadım, savunmayacağım 29.11.2021 https://www.aa.com.tr/tr/politika/cumhurbaskani-erdogan-hic-bir-zaman-faizin-yukseltilmesini-savunmadim-savunmayacagim/2433573 (accessed 29.11.2021)

33 Turkey to build plant and service center for Bayraktar drones. UA WIRE. 20.11.2021 https://www.uawire.org/turkey-to-build-plant-and-service-center-for-bayraktar-drones (accessed 29.11.2021)

34 Millî Savunma Bakanı Hulusi Akar, Gürcistan Savunma Bakanı Juansher Burchuladze ile Görüştü. 05.10.2021 https://www.msb.gov.tr/SlaytHaber/5102021-38018 (accessed 29.11.2021)

35 Turkey's exports break monthly record with $20.8B in October. Daily Sabah. 01.11. 2021 (accessed 15.11.2021) https://www.dailysabah.com/business/economy/turkeys-exports-break-monthly-record-with-208b-in-october

36 Узбекистан и Турция нацелены на наращивание взаимной торговли. UZ Daily 12.11.2021 http://www.uzdaily.uz/ru/post/65139 (accessed 17.11.2021)

37 European Comission. Trade and Policy. https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/turkey/ (accessed 13.11.2021).

38 Ibid. https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/turkey/

39 Armenia ready to normalize ties with Turkey, says Pashinyan. Hürriyet Daily News. 19.08.2021 https://www.hurriyetdailynews.com/armenia-ready-to-normalize-ties-with-turkey-says-pashinyan-167206 (accessed 14.10.2021).

40 Turkey Moves to Normalize Armenia Ties in Bid to Please Biden. Bloomberg. 13.12.2021 https://www.bloomberg.com/news/articles/2021-12-13/turkey-moves-to-normalize-armenia-ties-in-bid-to-please-biden (accessed 13.12.2021).

41 თურქეთი და სომხეთი ურთიერთობის ნორმალიზების მოლაპარაკებების

დაწყებაზე შეთანხმდნენ. ტაბულა. 13.12.2021. https://tabula.ge/ge/news/677571-turketi-somkheti-urtierto-bis-normalizebis (accessed 13.12.2021)

42 1960 სამხედრო მოსამსახურის გარდა რუსეთმა მთიანი ყარაბაღის მისიაში დროებით მიავლინა სხვადასხვა ფუნქციის მქონე (მაშველები, მედ. პერსონალი და სხვ.) სამოქალაქო პირებიც. რუსული კონტინგენტის მთლიანი რიცხვი ამ ეტაპზე 4000 ადამიანს აღწევს.

43 Путин проводит в Сочи двустороннюю встречу с Алиевым. ТАСС. 26.22.2021. https://youtu.be/sH0dUaKUH6M?t=477 (accessed 27.11.2021)

44 Crisis Group's report N°264, "Post-War Prospects for Nagorno-Karabakh". 9.06.2021. P.13. https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/nagorno-karabakh-conflict/264-post-war-prospects-nagorno-karabakh (accessed 13.11.2021)

45 GDP growth (annual %) – Armenia, The World Bank – Data https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?loca-

tions=AM (accessed 02.11.2021)

46 Armenia requests Russia's help after no new truce in Nagorno-Karabakh conflict. France 24, 31.10.2020 https://www.france24.com/en/asia-pacific/20201031-armenia-requests-russia-s-help-after-no-new-trucein-nagorno-karabakh-conflict (accessed 04.11.2021)

47 Секретарь Совбеза Армении: Ереван ждет от Москвы дипломатической и военной помощи. 17.11.2021 https://www.kommersant.ru/doc/5079153 (accessed 22.11.2021)

48 Бои на границе Армении удалось остановить благодаря усилиям России. 17.11.2021. https://ru.armeniasputnik.am/20211117/boi-na-granitse-armenii-udalos-ostanovit-blagodarya-usiliyam-rossii---peskov-35440467.html (accessed 22.11.2021)

49 Azerbaijan Statistical Information Service, Commodity balance of electricity https://www.azstat.org/portal/tblInfo/TblInfoList.do# (accessed 15.11.2021)

50 Azerbaijan Statistical Information Service, Commodity balance of natural gas https://

www.azstat.org/portal/tblInfo/TblInfoList.do# (accessed 13.11.2021)

51 Cheap And Combat-Tested: The Growing Market For Turkish Drones. Forbes. 26.07.2021. https://www.forbes.com/sites/pauliddon/2021/07/26/cheap-and-combat-tested-the-growing-market-for-turkish-drones/?sh=18d280177ce0 (accessed 25.10.2021)

52 Ukraine to buy 24 more Turkish Bayraktar TB2 UCAVs. Daily Sabah. 12.09.2021. https://www.dailysabah.com/business/defense/ukraine-to-buy-24-more-turkish-bayraktar-tb2-ucavs (accessed 25.10.2021)

53 Ukraine Angers Russia by Buying Turkish Drones and Wants To Get Its Hands On More. Bloomberg. 03.12.2021. https://www.bloomberg.com/news/articles/2021-12-03/ukraine-buys-more-armed-drones-from-turkey-than-disclosed-and-angers-russia (accessed 04.12.2021)

54 Turkey signs deal to import natural gas from Azerbaijan. Offshore Technology. 18.10.2021 https://www.offshore-technology.com/news/turkey-deal-gas-azerbaijan/ (accessed 01.11.2021)

55 Turkey's gas imports up 24.3% in August 2021. Anadolu Agency. 25.10.2021 https://www.aa.com.tr/en/economy/turkeys-gas-imports-up-243-in-august-2021/2401869 (accessed 01.11.2021)

56 Russia offers Turkey assistance in developing new-gen fighter jet. Daily Sabah. 14.11.2021. https://www.dailysabah.com/business/defense/russia-offers-turkey-assistance-in-developing-new-gen-fighter-jet (accessed 04.12.2021)

57 მთიან ყარაბაღში რუსულ ენას ოფიციალური სტატუსი მიენიჭა. ინტერპრესნიუსი. 25.03.2021 https://www.interpressnews.ge/ka/article/648328-mtian-qarabagshi-rusul-enas-opicialuri-statusi-mienicha/ (accessed 01.11.2021)

58 European Court of Human Rights GRAND CHAMBER CASE OF GEORGIA v. RUSSIA (II) (Application no. 38263/08) JUDGMENT https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-207757

59 European Court of Human Rights. Shavlokhova and Others v. Georgia (dec.) - 45431/08, 50669/08, 55291/08 et al. Decision

5.10.2021 https://hudoc.echr.coe.int/eng?i=002-13446

60 Armenia election: PM Nikol Pashinyan wins post-war poll, https://www.bbc.com/news/world-europe-57549208 (accessed 04.11.2021)

61 Президенты Азербайджана и Турции заложили фундамент Зангезурского коридора, Trend Az, 26.10.2021 https://www.trend.az/azerbaijan/politics/3503567.html (accessed 31.10.2021)

62 ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის მილსადენი BP - საქართველო https://www.bp.com/ka_ge/georgia/home/who-we-are/_-_-_-_.html (accessed 23.11.2021)

63 საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია https://www.gogc.ge/ka/project/samxret-kavkasiuri-gazsadeni/27 (accessed 23.11.2021)

64 Gas marketing in Europe. Gazprom. https://www.gazprom.com/about/marketing/europe/ (accessed 23.10.2021)

65 Foreign Projects – Turkey. Gazprom https://

www.gazprom.com/projects/turkey/ (accessed 23.10.2021)

66 თურქმა ინჟინრებმა შავ ზღვაში აღმოჩენილი ბუნებრივი აირი გამოსცადეს. TRT. 09.06.2021. https://www.trt.net.tr/georgian/t-urk-et-i/2021/06/09/t-urk-ma-inzhinrebma-shav-zg-vashi-ag-moch-enili-bunebrivi-airi-gamosc-ades-1654405 (accessed 23.10.2021)

67 ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი (Logistics Performance Index - LPI) ამა თუ იმ ქვეყნის ლოგისტიკური სისტემის შეფასების მაჩვენებელია, რომელიც „მსოფლიო ბანკმა“ და ტურკუს უნივერსიტეტმა 2007 წელს შეიმუშავეს. ინდექსის გამოსავლენი კვლევები ტარდება ორ წელიწადში ერთხელ და დღეისათვის LPI ინდექსის მიხედვით შედგენილი რეიტინგი 2007, 2010, 2012, 2014, 2016, 2018 წლებისთვისაა გამოქვეყნებული. https://lpi.worldbank.org/international

68 «საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020» - საქართველოს

მთავრობა. http://static.mrdi.gov.ge/551018320cf24147438b16fd.pdf (accessed 18.11.2021)

69 ლოგისტიკური სისტემის ეფექტიანობა და საქართველო IDFI. 07.12.2015 https://idfi.ge/ge/efficiency-of-logistics-system-georgia (accessed 18.11.2021)

70 ვაშინგტონში მაიკ პომპეოს და მამუკა ბახტაძის შეხვედრა გაიმართა Civil.ge 12.06.2019 https://civil.ge/ka/archives/308192 (accessed 18.11.2021)

71 Armenian troops killed in Azerbaijan border clash.BBC. 16.11.2021 https://www.bbc.com/news/world-europe-59308602 (accessed 22.11.2021)

72 Yerevan Accuses Azerbaijan Of Blocking Major Road Connecting Two Parts Of Armenian Region, RFERL, 26.08.2021 https://www.rferl.org/a/armenia-azerbaijan-blocks-road/31429111.html (accessed 12.11.2021)

73 Иранский чиновник: Мы готовы оказать Армении поддержку в строительстве альтернативой дороги, News AM,

05.10.2021 https://news.am/rus/news/665957.html (accessed 04.11.2021)

74 Nikol Pashinyan [@NikolPashinyan] Tweets Retrieved December 14, 2021, from https://twitter.com/NikolPashinyan/status/1470813497860702212

75 İlham Əliyev [@azpresident] Tweets Retrieved December 14, 2021, from https://twitter.com/azpresident/status/1471004930152734721

76 Sülhməramlıların sayı 1960 olmalı idi, amma 7-8 min nəfərə çatır. Sozcu.az. 07.09.2021 https://sozcu.az/?p=115685 (accessed 04.11.2021).

77 Азербайджан призвал РМК в Карабахе положить конец размещению ВС Армении на этой территории - Минобороны Азербайджана. Интерфакс-Азербайджан. 11.08.2021. http://interfax.az/view/842016 (accessed 04.11.2021).

78 Information of the Ministry of Defense of Azerbaijan 12.09.2021. https://mod.gov.az/en/news/information-of-the-ministry-of-defense-of-azerbaijan-37594.html (accessed 04.11.2021).

79 Sülhməramlıların sayı 1960 olmalı idi, amma 7-8 min nəfərə çatır. Sozcu.az. 07.09.2021 https://sozcu.az/?p=115685 (accessed 04.11.2021).

80 საქართველო-აზერბაიჯანი-ირანი ახალ სატრანზიტო მარშრუტს ხსნიან - როგორ ითარგმნება ეს ეკონომიკაში. Commersant.ge. 12.12.2021. https://commersant.ge/ge/post/saqartvelo-azerbaidjani-irani-axal-satran-zito-marshruts-xsnian (accessed 14.12.2021)

81 Ivanishvili Speaks on Ties with NATO, Russia. Civil.ge 18.10.2013 https://old.civil.ge/eng/article.php?id=25654 (accessed 01.11.2021)

82 Karabakh Podcast, 27.10. 2021 https://youtu.be/-bnxVFOxwm4 (accessed 28.10.2021)

83 Press release following the phone calls of President Charles Michel with leaders of Armenia and Azerbaijan on 19 November 2021. 19.11.2021 https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2021/11/19/press-release-following-the-phone-calls-of-president-charles-michel-with-leaders-of-armenia-and-azerbaijan-on-19-november-2021/# (accessed 19.11.2021)

84 European Comission. Trade Policy – Azerbaijan https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/azerbaijan/ (accessed 19.11.2021)

მთიან ყარაბაღში 2020 წლის 27 სექტემბერს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაწყებული ომი 44 დღის შემდეგ ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით დასრულდა. 1990-იანი წლების დასაწყისში დაფიქსირებული სტატუს-კვო შეიცვალა: აზერბაიჯანმა დაკარგული ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილზე აღადგინა იურისდიქცია. თავისთავად, სამი ათეული წლის განმავლობაში „გაყინული“ კონფლიქტის რადიკალურმა გადაწყვეტამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია რეგიონის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში.

ამ წიგნში შევეცადეთ შეგვეფასებინა ყარაბაღის მეორე ომის შედეგები და ის ცვლილებები, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში ომის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში მოხდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პოსტ-კონფლიქტური პერიოდის იმ ასპექტებსა და პერსპექტივებს, რომლებიც საქართველოს ეხება.

ზაზა შენგელია „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ მკვლევარი და „ამერიკული მიზნის“ რედაქტორია.